# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2011 წელი.

№154 (6765)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



## რობერტ სტურუამ ამჯერად თავისი ყველაზე დიდი სპექტაკლი დადგა, ოღონდ უკვე მსოფლიოს დასანახად!



③

დაურღვეველი „კავკასიური ცარცის წრე“...

## ჯანყი სომხურად...

სომხებმა დააკონკრეტეს, თუ რატომ სურთ გარეგინ მეორის გადადგომა ⑦



## გამარჯვებული კომპანია და დამარცხებული მგზავრი ②

თბილისის მერიამ მოსახლეობა ამჯერადაც გააცუცურაკა!



## ვინ აფათურებს ხელს ახლო აღმოსავლეთის მღვრიე წყალში? ⑥

## დასავლეთი და საქართველო: სიყვარულმა გაიარა – დარჩა მსუბუქი სიმპათია ⑧

## როგორ ვიმყოფინოთ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი?! ④



მიშას და ვლადის შოუ

## საქართველო: კავკასიის კუბა? ⑤

ენვერ ხოჯა

## ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა ⑨



ტრანსპორტი

# გამარჯვებული კომპანია და დამარცხებული მგზავრი



## თბილისის მერიამ მოსახლეობა ამჯერადაც გააცუცურაკა!

ვიდრე თბილისის მერიის მორიგ ტყუილზე ვიტყოდე რამეს, მინდა იმაზე მოგიყვეთ, კარის მეზობელი თავად როგორ „მოვატყუე“. ამ ორიოდე დღის წინანდელ ამბავზე გეუბნებით, როცა პენსიონერის სატრანსპორტო ბარათით არა მარტო მონგრეული „ყვითელი აუტობუსით“, ახალი, კეწკეწა „ყვითელი მარშრუტკითაც“ მშვიდად და კომფორტულად ვიმგზავრე.

— სულ ტყუილად მეგონა, რომ ჩემი ბარათით ახალ მიკროავტობუსზე ვერ ვისარგებლებდი, — ვუთხარი აფხაზეთის ომის ვეტერანს, ჩემ კორპუსში მცხოვრებ დავით გოგოლაშვილს და მეტი დამაჯერებლობისთვის პენსიონერის მოყავისფრო სამგზავრო ბარათი ცხვირწინ ავუფრიალე.

— შენ, ჩემო ძმაო, 20 თეთრს მაინც იხდი, მე კი, როგორც ომის ვეტერანი, საერთოდ უფასოდ ვმგზავრობ. არა მგონია ახალ „მარშრუტკაში“ ჩემმა ბილეთმა გაჭრას.

— ტყუილად ეჭვობ, — ვცდილობ დავარწმუნო, — ახალ მიკროავტობუსში ელექტროაპარატია დამონტაჟებული და ჩასვლისას, როგორც იქ არის მინიშნებული, მასში ბარათს გაატარებ და შენი ფული გადახდილია.

— მერედა, ვინ იხდის?

— რა თქმა უნდა, სახელმწიფო. ქალაქის მერია ხომ აცხადებდა, ახალ მიკროავტობუსებში, ისევე, როგორც ძველ, მუნიციპალურ ყვითელ ავტობუსებში, შეღავათებით მოსარგებლე მგზავრებისთვის ტრანსპორტირების ძველი პირობები დარჩებაო.

თურმე ტყუილად ვიღლიდი ყბებს. მეორე დღეს ჩემმა მეზობელმა ვეტერანმა საყვედური მტკიცა:

— ის არ გვეყოფა, ხალხო, ხელისუფლება რომ გვატყუებს, ახლა კიდევ მეზობელი არ დაემატოს? — მესროლა მკვახედ დავითმა.

— არ გეწყინოს, დათო, — ვცადე დამშვიდება, — შენი მოტყუება სულაც არ მინდოდა, მაგრამ ამ აფერისტმა მთავრობამ მეც შემაცდინა. გუშინ ყვითელი მიკროავტობუსით რომ ვიმგზავრე, მეგონა 20 თეთრი წაიღო, მაგრამ ფაქტობრივად 80 თეთრი წაუგლეჯია!

— საიდან მიხვდი? — დაინტერესდა ვეტერანი.

— რა დიდი მიხვედრა უნდა, ბარათში თანხა რომ აღარ დამხვდა, თუ არა „ყვითელი მარშრუტკა“, სხვა ვინ მოიპარავდა?

მარტო ომის ვეტერანები და პენსიონერები რომ ვიყოთ მოტყუებულნი, კიდევ რა უჭირდა, ახალი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანიდან ჯერ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ მგზავრების მხრიდან გადახდის ახალ სისტემასთან დაკავშირებით, უკვე უამრავი პრეტენზია გაჩნდა. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რა ხრიკებითა და კავშირებით მოიპოვა ტენდერში გამარჯვება შპს „თბილისის მიკროავტობუსმა“ (ბევრი მას გიგი უგულავას „პირად ბიზნესად“ მიიჩნევსძ, მოქალაქეები მას „მამალ ტყუილებშიც“ ადანაშაულებენ. „გამარჯვებული“ კომპანია კი ირწმუნება, რომ ახალი სამარშრუტო ტაქსით მხოლოდ პირველი მგზავრობა ღირს 80 თეთრი, ყველა შემდგომი მგზავრობა კი 65 თეთრი, მაგრამ თავად მგზავრები საპირისპიროს ამტკიცებენ — მეორე და მომდევნო მგზავრობისას მათ ელექტროაპარატი თურმე 65 თეთრის მაგიერ 80 თეთრს „აჭრის“.

„ან ელექტროაპარატი არის ტექნიკურად გაუმართავი ან შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელები იტყუებიან, — იწერება რედაქციაში გამოგზავნილ წერილში მოქალაქე ლია გრძელიშვილი. — ჩემგან პირადად აპარატმა 65 თეთრის ნაცვლად 80 თეთრი რამდენჯერმე შეიტყაპუნა. ამის თაობაზე როცა მძღოლს ვუთხარი, მან, რა თქმა უნდა, ისევ მე გამამტყუნა — დღეს ალბათ პირველად მგზავრობ და გეშლებაო. არადა დღისით „ყვითელ მარშრუტკაში“ ოთხჯერ ავედი და ოთხჯერვე თავდაპირველად 80 თეთრი წაიღო, შემდეგ — 65, მაგრამ მესამედ — ისევ 80 თეთრი „ჩამომაჭრა“.

ლია გრძელიშვილისთვის შეიძლება არც დამეჯერებინა, პირადად რომ არ შევსწრებოდი ასეთ ფაქტს.

— გამაგებინეთ, ვინ ჩასვა ეს ვიგინდარა თაღლითი აპარატში, ყოველ ჯერზე 65 თეთრის ნაცვლად 80 თეთრს რომ ახრამუნებს? — უსაყვედურა მძღოლს გამხდარმა ქერა ქალბატონმა.

— მერიამ, ქალბატონო, მერიამ, — იყო მგზავრთა საერთო პასუხი, — ჯიბგირობას ეგენი არიან მიჩვეული!

— შეიძლება გეშლებათ და ამ ავტობუსით პირველად მგზავრობთ? — სცადა მერიის გამოძვრენა მძღოლმა.

— რა შუაშია ეს ავტობუსი, სხვებით რომ ვიმგზავრე, განა ის არ მეთვლება? — იწყინა მგზავრმა.

— სხვებით თუ იმგზავრეთ, ქალბატონო, ეს ავტობუსი როგორ დაიმახსოვრებდა? — შაყირის ხასიათზე დადგა ახალგაზრდა ახმახი მგზავრი.

მოკლედ, სურათი რაც უნდა სიბნელეში ხატონ სატრანსპორტო სივრცეში მონოპოლისტად მოვლენილმა ახალი კომპანიის მესვეურებმა, ნათლად მეტყველებს, რომ ქალაქის მერიისა და შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ თავკაცებმა საკუთარი მოსახლეობა, თავის პენსიონერ-ვეტერანებიანად, ერთხელ კიდევ გააცუცურაკეს.

აი, გაცუცურაკება მაშინ ნახეთ, ეს ნაჯახირევ-ნაჭანჭყარევი ბებერი ავტობუსები (იგივე „ყვითელი ავტობუსები“ძ საიქიოს გზას რომ გაუდგებიან და მოსახლეობის ჯიბეში „ყვითელი მარშრუტკები“ უფრო მორგებულად ჩაძვრებიან (!ძ. აბა როგორ, იმედია, ნაგვის გადასახადს გადაურჩება, ესენი კაპიკდაუკლებლად აითვისებენ.

ოთარ ხუციშვილი

პროტესტი

# ნუ ისარგებლებთ გაძვირებული სამარშრუტო ავტობუსებით!

„ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირებასთან დაკავშირებით მოსახლეობას მიმართავს და მოუწოდებს, პროტესტის ნიშნად „უქმე დღეებზე მაინც“ გაძვირებული ტრანსპორტით გადაადგილებაზე უარი თქვან.

„ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გაძვირებასთან დაკავშირებით მოსახლეობას მიმართავს და მოუწოდებს, პროტესტის ნიშნად „უქმე დღეებზე მაინც„ გაძვირებული ტრანსპორტით გადაადგილებაზე უარი თქვან.

მისივე აზრით, მოსახლეობის ასეთი პრინციპული გადაწყვეტილება აუცილებლად დაარტყამს შარანგიების მფარველი ხელისუფლების ანტიხალხურ გადაწყვეტილებებს და უკან დაახევინებს მას, რათა სამარშრუტო ავტობუსებით მგზავრობა რეალურ და ჩვენი მოსახლეობისათვის ფინანსურად შესაძლებელ ტარიფებს დაუბრუნდეს.

— თქვენი ამ პრინციპული პროტესტით, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერთმანეთი. გარწმუნებთ, რომ ეს შესაძლებელია. გარწმუნებთ, რომ ეს სოციალური სამართლიანობისათვის ჩვენი ერთობლივი ბრძოლის ერთ-ერთი პრინციპული და ღონიერი ნაბიჯია. ეს ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობის მხარდაჭერისაკენ მიმართული ჩვენი საერთო სოლიდარობა იქნება, — აღნიშნა „ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანმა.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## საქართველოს საგარეო უწყება რუსეთში საქართველოს ინტერესების სექციის ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც ვაშაძის უწყება იუწყება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალჯერადი მიმართვის მიუხედავად, რუსეთის მხარემ არ უზრუნველყო რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის ნორმალური და შეუფერხებელი ფუნქციონირება.

— უკვე მეორედ, მიმდინარე თვის განმავლობაში, კერძოდ, 2011 წლის 17 აგვისტოს 10:40 საათზე ოსტოჟენკოს ქუჩა №26/1-ში მდებარე შენობაში განთავსებულ საქართველოს ინტერესების სექციას შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, რის გამოც სექცია იძულებული გახდა შეეჩერებინა მოქალაქეთა საკონსულო მომსახურება.

აღნიშნული ქმედებით რუსეთის მხარე არღვევს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციას და „შვეიცარიის კონფედერაციასა და რუსეთის ფედერაციას შორის შვეიცარიის კონფედერაციის მიერ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ინტერესების დაცვის შესახებ„ 2009 წლის 4 მარტს, ნოტების გაცვლის გზით, დადებულ შეთანხმებას, — აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელია, როდესაც სხვადასხვა კორუფციული გარიგებების შედეგად რამდენჯერმე შეცვლილი შენობის მესაკუთრეების უსაფუძვლო მოთხოვნების შედეგად ხდება სექციის მუშაობის შეწყვეტა, რითაც ზარალდებიან, პირველ რიგში, რიგითი მოქალაქეები.

## ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის სასაზღვრო სამსახურის უფროსმა ცხინვალი-ერგნეთის საგუშაგო მოინახულა

ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის სასაზღვრო სამსახურის უფროსმა სერგეი კოლბინმა ცხინვალი-ერგნეთის საგუშაგო მოინახულა.

მისი თქმით, „ხელისუფლებამ“ უკვე დაამტკიცა საქართველოსთან ე.წ. საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული წესები.

— პროექტში გათვალისწინებულები არიან საერთაშორისო დამკვირვებლები, რომლებსაც საზღვრის დარღვევის გამო დაკავებული პირები გადაეცემათ, — აღნიშნა კოლბინმა.

## აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უცხოელ დამკვირვებლებს ელოდებიან



აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პარლამენტის ვიცესპიკერ ვიაჩესლავ ცუგბას მტკიცებით, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებზე უცხოელ დამკვირვებლებს ელოდებიან.

როგორც ცუგბამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, 60 ადამიანზე მეტმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით დააკვირდნენ.

მისივე თქმით, „კანონის“ თანახმად, ე.წ. პარლამენტმა „საპრეზიდენტო არჩევნებზე“ დასასწრებად 100-მდე მოწვევა უცხო ქვეყნებში უკვე გაგზავნა, პირველ რიგში კი რუსეთის ფედერაციაში და დსთ-ს წევრ ქვეყნებში.

— მოწვევა გავგზავნეთ საფრანგეთში, უნგრეთში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრალიაში და აფრიკულ სახელმწიფოებში, — აღნიშნა ცუგბამ.

ჯი-ეიჩ-ენი

ეს კარგია!

# ქართული ღვინო სტამბულის საერთაშორისო აეროპორტში გაიყიდება

ქართული ღვინო სტამბულის საერთაშორისო აეროპორტში გაიყიდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „TAV ჰოლდინგს“ შორის თანამშრომლობის შედეგად, სტამბულის



ათათურქის საერთაშორისო აეროპორტში, „დუთი ფრის“ ზონაში ქართული ღვინის კუთხის გახსნა გახდა შესაძლებელი.

მალაზიაში სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოებული ქართული ღვინის ბრენდები გამოიფინა.

სტამბულის ათათურქის საერთაშორისო აეროპორტში, რომელიც მგზავრთა გამტარუნარიანობით ევროპაში რიგით მერვე აეროპორტია, ქართულ ღვინოს 20 მილიონამდე მგზავრს შესთავაზებენ. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ქართული ღვინის პოპულარიზაციას, არამედ ეროვნული ღვინის პროდუქციის შესახებ ცნობადობის გაფართოებას და საერთაშორისო ბაზარზე პოზიციის გამყარებას.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 154. ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2011 წელი.

ბრძანება ძალაშია...



# რობერტ სტურუამ ამჯერად თავისი ყველაზე დიდი სპექტაკლი დადგა, ოღონდ უკვე მსოფლიოს დასანახად!

**ხელისუფლება კი ერთხელ კიდევ ჩაიჭრა და იქნებ საბედისწეროდაც – თანამედროვეობის უდიდესი რეჟისორი რობერტ სტურუა თანამდებობიდან გაათავისუფლა, რაც, მართალია, უსისხლო რეპრესიაა, მაგრამ თავისი არსით ყველაზე უფრო სისხლიან რეპრესიებს უტოლდება**

**კრიტიკას, ამ დიდი რეჟისორის მხრიდან, სცენიდან იქნებოდა ეს თუ სიტყვიერი, ყოველი გონიერი ხელისუფლება არა მარტო შემწყნარებლად, არამედ გაგებით შეხვდებოდა და გაითვალისწინებდა სამომავლოდ. მან, როგორც დიდმა პატრიოტმა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ბევრი რამ ისეთი თქვა, სულაც არა რადიკალური, რაც უთუოდ ჭკუაში უნდა დასჯდომოდა ზერელე, მაგრამ ფრიად ძვირად დირებულ სანახაობებს გადაყოლილ ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც ძალიან ხშირად, ამჯერადაც უღალატა სახელმწიფო გამგებლობისთვის ესოდენ საჭირო მოთმინებამ. ადრე უფრო დაბალ დონეზე, შედარებით დაბალ დონეზე უტევდნენ. მაშინდელ შეტევას თვითონ ბოკერია სარდლობდა, გიგა, და ზოგ-ზოგი წვრილფეხობა, მაგრამ ამაოდ. ახლანდელი დრამატული შეტევა კი თვითონ უმაღლესი ხელისუფლების დონეზე განხორციელდა, რომლის აშკარად სამარცხვინო ნების გამომხატველად თვით ეგრეთ წოდებული კულტურის მინისტრი მოგვევლინა.**

**ახალი დრამატურგიის ამჟამინდელი გაჭირვების ჟამს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რობერტ სტურუამ აწინდელ ჩვენს ავბედით სინამდვილეს ჩამოატეხა ეს მწვავე დრამატურგიული ნაწილი, რომლის მთავარ გმირად თავად იქცა და, დიდი შექსპირისა არ იყოს, თვითონ „ხელმწიფეს დაახურა მასხარის ჩაჩი“, თანაც იმ მინისტრის ხელით, რომელსაც ეს ხელი გუშინ თუ გუშინწინ თავისივე მტრად დასახულ თანამოქალაქეთა სისხლში ჰქონდა გასვრილი... ერთი სიტყვით, ხელისუფლება რობერტ სტურუას თავისდა უნებურად თანამონაწილე გაუხადა სრულიად უჩვეულო თანამედროვე ცხოვრებისეული სპექტაკლის დადგმაში.**

**ზოგმა იქნებ ისიც თქვას, თანარეჟისურამიცო, რადგან ყველამ საკუთარი თვალით ვნახეთ ამ დღეებში, რა ზარ-ზეიმი ატეხა ხელისუფლებამ ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე „ქეთო და კოტეს“ დადგმის გამო, რომლის მთავარი რეჟისორიც, როგორც ამბობენ, თვითონ მიხეილ სააკაშვილი ყოფილა, რასაკვირველია, კულტურის მინისტრის გარშემო ტრიალ-ბზრიალითა და წინასწარი ტაშისკვრით. ერთი სიტყვით, პრეზიდენტმა რაკი თავი რეჟისორადაც იგრძნო, თანაც უდიდეს რეჟისორად, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, ბრძანა და, ორი დიდი რეჟისორი რა საჭიროაო, ბრძანების დაწერა დაავალა ხელაკანკალებულ მინისტრს...**

**„გათავისუფლდეს რობერტ სტურუა საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2011 წლის 15 აგვისტოდან. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან“,** – კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება № 1/64, **ნიკოლოზ რურუა,** 2011 წლის 9 აგვისტო.

რობერტ სტურუა თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტს სოციალურ ქსელში „ფეისბუქში“ ერთი სიტყვით – „მომხსნეს“ – ადასტურებს.

ინფორმაცია რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებას სურდა მისდამი კრიტიკული პოზიციის გამო რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრიდან წასულიყო, რის გამოც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის გაუქმებას გეგმავდა.

შესაძლო გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ცნობილი ადრევე იყო თავად რობერტ სტურუასთვისაც. სტურუა აღნიშნავდა, რომ ის პოლიტიკური შეხედულებების გამო იდევნება.

„არ ვმალავ ჩემს შეხედულებას, ხოლო, ხელისუფლება კრიტიკულ აზრს ვერ იტანს“, – აცხადებდა სტურუა და აღნიშნავდა რომ სახელმწიფო თეატრებში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობას, შესაძლოა, სწორედ მის გამო აუქმებენ, ამიტომ, კოლეგების წინაშე თავს დამნაშავედ მიიჩნევს. „ალბათ, ფიქრობენ, რომ თუ ამ თანამდებობას გააუქმებენ, თეატრიდან წავალ. მე თეატრიდან წასვლას არ ვაპირებ, სულ არ მაღელვებს რა მერქმევა“, – განაცხადა სტურუამ.

სახელმწიფო თეატრების საქმიანობას „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონი არეგულირებს, რომლის მიხედვითაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნა და გათავისუფლება კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა.

## რობერტ სტურუა: „სვაბოდაზე“ ვარ – ერთადერთი რაც გულს მიღრღნის ის არის, როგორ გადავზიდო ამდენი წიგნი სახლში

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის უკვე ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა თანამდებობიდან გათავისუფლების გამო კმაყოფილებას გამოთქვამს.

„მე ვქეიფობ, მძინავს,ხილს ვჭამ (მგონი ზედმეტიც მივირთვი...ძ მოკლედ, გამათავისუფლეს, თავისუფალი ვარ, სვაბოდაზე!.. The Freedom!- ეს ქართველი ამერიკელებისთვის, – ასე ეხმაურება რობერტ სტურუა გათავისუფლების შესახებ კულტურის მინისტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელ „facebook“-ში. მისივე თქმით, „ერთადერთი, რაც ტვინს უღრღნის ის არის, როგორ გადაზიდოს ამდენი წიგნი სახლში“.

## ნიკა რურუას „ეთნიკური მეტაფორები“

რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული „ეთნიკური მეტაფორების“ გამო გათავისუფლდა. ამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ გუშინ ბათუმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

რურუას შეფასებით, სტურუას გათავისუფლება მისთვის ძალიან პრინციპული საკითხია.

**„სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელსაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს“,** – განაცხადა ნიკა რურუამ.

მინისტრის თქმით, ეს მისთვის არ იყო სასიამოვნო გადაწყვეტილება. **„მიმაჩნია, რომ ტირაჟირებულ ქსენოფობიას მწვანე შუქი არ უნდა აენთოს დემოკრატიულ ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ ეს საქართველოს თავის თავზე ერთხელ უკვე ნაგემი აქვს. ერების დაყოფა კარგ და ცუდ ერებად, ადამიანების დაყოფა კლასებად – ეს იყო, რასაც აკეთებდნენ თვის დროზე ბოლშევიკები და ეს იცის ბატონმა სტურუამ, ის იცნობდა ბოლშევიკებს, ამას აკეთებდნენ თავის დროზე ნაცისტები“,** – განაცხადა მინისტრმა.

ნიკა რურუას მიაჩნია, რომ **„ჩვენი დაუძინებელი მტერი ამით აუცილებლად ისარგებლებს, ამის საშუალება თუ ექნება“.**

**„მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადამიანს, რომელსაც ასეთი ღირებულებათა სისტემა აქვს, არ ეკავოს საკვანძო სახელმძღვანელო პოზიცია, ეს არის და ეს. ზოგადად, სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი არ უქმდება და ეს პოსტი არც რუსთაველის თეატრში გაუქმდება“,** – აღნიშნა ნიკა რურუამ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, თანამდებობა რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამაც დატოვოს, მინისტრის განმარტებით, ჩიქობავა თანამდებობაზე დარჩება.

ამასთან, ნიკა რურუამ აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურა ამ დროისთვის არ არსებობს.

**რედაქციის მინაწერი: სამწუხაროა, რომ კულტურის მინისტრს, როგორც ჩანს, კარგად არ ესმის მეტაფორის ცნება: სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, რაც ემყარება მსგავსებას, ანალოგიას, ამგვარად ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა.**

**ასე რომ, მინისტრი ტყუილად აბრალებს რობერტ სტურუას რაღაც ეთნიკური მეტაფორების გამოთქმას. მას არც ერთი ეთნოსისთვის არავითარი შეურაცხყოფა არანაირი მეტაფორით არ მიუყენებია. მინისტრი უბრალოდ აბნევს მკითხველს და გამოთქმა „ეთნიკური მეტაფორით“ რობერტ სტურუას უთუოდ რადიკალურ გამონათქვამს პოლიტიკურ საბურველში ახვევს, რათა ქსენოფობიის საბაბით გაამართლოს თავისი (ზემოდან ნაკარნახევი) რეპრესიული გადაწყვეტილება, რასაც თავის დროზე მართლაც მიმართავდნენ ნაცისტები.**

**ნეტავი როდემდე უნდა იყოს საქართველოში ტყუილის თქმა სიმართლის თქმაზე ბევრად ადვილი?! არადა, სად იქნება საქართველოში იმდენი ცხენი, რომ ყველა მართლის მთქმელს შეკაზმული ჰყავდეს!**

**რაც მართალია, მართალია, ამ შემთხვევაში თვითონ „ხელის ბიჭი“ მინისტრი ბევრად უფრო ჰგავს თავის მოთმინებადაკარგული პრეზიდენტის მეტაფორას!**

**ისე, ცნობილია, რომ როცა იუპიტერი ბრაზობს, ყოველთვის მტყუანია!**



სცენა რ. სტურუას სპექტაკლიდან – „რიჩარდ III“.

# როგორ ვიმყოფინოთ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი?!

**„საქსტატის“ ინფორმაციით, სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2009 წელს 512,6 ლარი შეადგინა, არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა — 608,5 ლარი. უფრო ახალი ინფორმაცია, რომელიც ამ მაჩვენებელს ქვეყანაში არსებული საქმიანობების მიხედვით მოუყრიდა თავს, ორგანიზაციის საიტზე არ მოიპოვება.**

ამ წელს, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებიდან, ყველაზე მაღალი ხელფასი საფინანსო (2258,9 ლარი) და სამთომოპოვებითი (2438,1 ლარი) სფეროს წარმომადგენლებს ჰქონიათ. ყველაზე დაბალი — თევზჭერითა და მეთევზეობით დაკავებულებს (129,2 ლარი). ფაქტობრივად, იგივე მეორდება არასახელმწიფო სექტორშიც: ყველაზე მაღალი ხელფასი აქაც საფინანსო სექტორში ჰქონიათ (1302,5 ლარი), ყველაზე დაბალი — თევზჭერასა და მეთევზეობაში (262,1 ლარი). საშუალო ხელფასი ნიშნავს იმას, რომ დასაქმებულთა ნაწილი არსებულ მაჩვენებელზე მეტს იღებს, ნაწილი კი — ნაკლებს.

მაინც, როგორ ნაწილდება ხელფასები საშუალო ნომინალური მაჩვენებლის მიღმა? ყველაზე საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანიც, ამ კონტექსტში, სახელმწიფო სექტორში არსებული მდგომარეობაა. მიზეზი რამდენიმეა. პირველი — კერძო სექტორისთვის იგი, როგორც წესი, ორიენტირია. მეორე — როცა თავად გასცემს ხელფასს, ხელისუფლებას აქვს სრულყოფილი შესაძლებლობა, დაიცვას სოციალური სამართლიანობა, რაც სახელმწიფოს მართვის საფუძველთა საფუძველია. იმ კვლევის მიხედვით, რომელიც საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულმა კავშირმა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „ღირსეული შრომა საჯარო სექტორში“, ფარგლებში ჩაატარა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოციალური სამართლიანობა ამ ხელისუფლებისთვის ფრიად შორეული და ღრმად თეორიული დეფინიციაა.

ოფიციალური სტატისტიკით, სახელმწიფო მმართველობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა, 2011 წლის 1 კვარტალში 929 ლარი შეადგინა, ხსენებული კვლევის მიხედვით კი, საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების 50%-ს საარსებო მინიმუმზე დაბალი ანაზღაურება აქვს.

ოფიციალური მონაცემებით, რომელსაც „საქსტატი“ აქვეყნებს, საარსებო მინიმუმმა ივნისში 158,6 ლარი შეადგინა. კვლევაში მოყვანილი ციფრების მიხედვით, საჯარო სექტორში მუშაობენ ადამიანები, ვისი ყოველთვიური ხელფასიც 170 ლარს შეადგენს. ასეთები არიან, მაგალითად, ტერიტორიული რწმუნებულების სამსახურების თანამშრომლები გორის რაიონში, შტატის მიხედვით — 46 ადამიანი. მას, შემდეგ, რაც 170 ლარს საშემოსავლო გადასახადი გამოაკლდება, ამ ადამიანების ხელფასი საარსებო მინიმუმზე ნაკლები, 136 ლარი ხდება. თუმცა, საარსებო მინიმუმს „ჩამორჩენილები“ მხოლოდ ასე დაბალანაზღაურებადი საჯარო მოხელეები არ არიან. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პრობლემა შედარებით მაღალანაზღაურებად მუშაკებსაც ექმნებათ, მათ, ვისი ხელფასიც 170-დან 300-400 ლარამდე მერყეობს. ამის მიზეზი ქვეყანაში არსებული და, სამწუხაროდ, მზარდი ინფლაციაა.

## ნოყიერი ნიადაგი კორუფციისთვის

„ივნისში ინფლაციამ 13% შეადგინა, ივლისში — 10%, უფრო ადრე მისი მაჩვენებელი 16%-მდე ავიდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სექტემბერში, როდესაც ბოსტნეულზე ფასი მოიმატებს, შესაძლოა, ინფლაცია ისევ გაიზარდოს... ეს ნიშნავს, რომ, გარდა საშემოსავლო გადასახადის 20%-ისა, დასაქმებულს ხელფასიდან ყოველთვე, მინიმუმ, 10% ინფლაციას „მიაქვს“. შედეგად, ვიღებთ, თანხას, რომელიც საარსებო მინიმუმზე დაბალია,“ — ამბობს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **ნუგზარ ჭინჭარაული**. „წარმოუდგენელია, ადამიანმა ამ ხელფასით იმუშაოს, იყოს უზრუნველყოფილი და მოტივირებული. თავი დავანებოთ, პროფესიული სრულყოფისკენ მისი ბუნებრივი სწრაფვის დაკმაყოფილებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ქმნის ნოყიერ ნიადაგს იმისთვის, რომ საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს მიღებული ანაზღაურებით საკუთარი და ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კორუფციაში ჩაერთოს. ეს მაშინ, როცა ხმამაღლა ვამბობთ, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა კორუფციის დასამარცხებლად. მაშინ, რატომ ვუწყობთ ხელს კორუფციისკენ მიბრუნებას? იმ პერიოდის დაბრუნებას, როცა ხელფასები იყო დაბალი და, საკუთარი და ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ადამიანები თავიანთი სამსახურებრივი პოზიციების გამოყენებით ცდილობდნენ?“

როგორც კვლევამ აჩვენა, საჯარო მოსამსახურეთა სახელფასო ფონდი, ორად იყოფა, მისი 50% მაღალანაზღაურებად მოხელეებს ხმარდება, დარჩენილი 50% — მოხელეთა დაბალანაზღაურებად ნაწილს. მაგალითისთვის, ვნახოთ როგორ ანაწილებს ბიუჯეტი ხელფასებს ბორჯომის ტერიტორიულ ერთეულში. ბორჯომის გამგეობაში სულ 118 ადამიანი მუშაობს. აქედან, გამგებელი იღებს 2387 ლარს, პირველი მოადგილე — 1100 ლარს, მოადგილე — 945 ლარს, აპარატის უფროსი — 700 ლარს, იურისტი — 420 ლარს, მთავარი სპეციალისტი (10 ადამიანი) — 420 ლარს, ტერიტორიული რწმუნებული (11

## თითო-ოროლა ხელმძღვანელის გარდა, საბანი ვერავის წვდება

ადამიანი) — 400 ლარს, უფროსი სპეციალისტი (26 ადამიანი) — 380 ლარს, სპეციალისტი (56 ადამიანი) — 230-280 ლარს, ტექპერსონალი (10 ადამიანი) — 230 ლარს.

ბორჯომის საკრებულოში ბიუჯეტი 18 ადამიანის შრომას ანაზღაურებს. აქედან, საკრებულოს თავმჯდომარე იღებს 2360 ლარს; მოადგილე — 1100 ლარს; აპარატის უფროსი — 700 ლარს; კომისიის თავმჯდომარე (4 ადამიანი) — 650 ლარს; ფრაქციის თავმჯდომარე (2 ადამიანი) — 650 ლარს; უფროსი სპეციალისტი (5 ადამიანი) — 350 ლარს; ტექნიკოს-სპეციალისტი (2 ადამიანი) - 300 ლარს; სპეციალისტი — 280 ლარს; დამლაგებელი — 200 ლარს.

კვლევაში მოყვანილი ეს ციფრები აჩვენებს, რომ დაბალანაზღაურებადი მოხელეების წილი საჯარო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობაში მაღალანაზღაურებად მოხელეებზე საგრძნობლად მეტია.

როგორც საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ამბობს, ამ უთანასწორობის ხაზგასმას ორგანიზაცია არა მაღალი ხელფასების შემცირების, არამედ დაბალი ანაზღაურების გაზრდის მიზნით აკეთებს.

„კარგია, რომ საჯარო სექტორში არსებობს მაღალი ხელფასი,“ — ამბობს ნუგზარ ჭინჭარაული, — „მაღალანაზღაურებადი ადამიანი მოტივირებული უნდა იყოს, არ უნდა ჩაერთოს კორუფციაში, ამ მხრივ სუფთა გარემო უნდა შეიქმნას ირგვლივაც, მაგრამ რა ვუყოთ დანარჩენებს? მაღალი ხელფასი ორიენტირი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ერთბაშად ხელფასების გაორმაგებაზე არავინ საუბრობს, მაგრამ ხელფასების მატებისკენ უნდა მივდიოდეთ.

პოლონეთსა და ისრაელში, რომელთა მაგალითებიც ჩვენ კვლევის განმავლობაში შევისწავლეთ, მსგავსი სიტუაციები სამმხრივი დიალოგის ფარგლებში რეგულირდება. კოლექტიური ხელშეკრულებებში იდება სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც, ინფლაციის შემთხვევაში, ხელფასების კორექტირებას კონკრეტულ დაწესებულება თავად ახდენს. მაგალითად, როცა ინფლაცია 4%-ზე მეტს აღწევს, ხელფასების კორექტირებას უშუალოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ახორციელებს. ჩვენ შემთხვევაში ეს წარმოუდგენელია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტები, ძირითადად, ცენტრალური ბიუჯეტიდან წამოსული ტრანსფერით ფინანსდება, კონკრეტულად ხელფასების 65%-ს სწორედ ტრანსფერი აფინანსებს, შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლება ამ საკითხს მარტო ვერ გადაწყვეტს.“

## ბიუჯეტი, როგორც პრობლემა

საქართველოს ბიუჯეტის უცნაურ ხასიათზე ექსპერტი იაკობ მესხია ჯერ კიდევ 2008 წლის აპრილში საუბრობდა. „დღეს ბიუჯეტი გასცემს სამი ტიპის ტრანსფერს — გამოთანაბრებითს, მიზნობრივსა და სპეციალურს,“ — განმარტავდა ექსპერტი, — „გამოთანაბრებითი გულისხმობს, რომ რაიონებს, რომლებიც, რეალურად, განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან, განსხვავება არ დაეტყოთ განვითარებაში. არსებობს სპეციალური ფორმულა, რომელიც, ფაქტობრივად, გვერდზეა გადადებული. მაშ, როგორ ხდება ამ ტრანსფერის გამოყოფა? იმის მიხედვით, თუ რომელ ხელმძღვანელს ეხება საქმე, როგორია მისი მდგომარეობა, რეიტინგი, პოლიტიკური სტატუსი და ა.შ. ყველაფერი აბსოლუტურად არაეკონომიკური გამოთვლებით კეთდება. მოხსნილია ყველა ის ძირითადი ინდიკატორი, რო-



მელიც მთავარი უნდა იყოს. მაგალითად, **ხონროწყუს რაიონს მისცეს 2 მილიონამდე ლარი, წალენჯიხის რაიონს — 400 ათასი, თბილისს — 226 მილიონი, მაშინ, როდესაც თბილისი დონორია. რატომ ხდება ასე, ფორმულაც ვერ აგიხსნით.**

მეტს გეტყვით: ზოგიერთ უწყებას აქვს სახსრები, რომლის დახარჯვას ვერ ასწრებს, მინისტრი კაბინეტებს ყოველ ორ კვირაში არემონტებს, მანქანებს იცვლის, ღონისძიებებს აწყობს, ა.შ. მაშინ, როდესაც მეორე დაწესებულებას საკანცელარიო ნივთების საყიდელი ფულიც არ აქვს. რაშია საქმე? სწორედ იმაში, რომ საბიუჯეტო დაგეგმვის მეთოდიკა-მეთოდოლოგია არ გვაქვს. არ გვაქვს სახელმწიფო სტანდარტები, სახელმწიფო ნორმატივები — როგორ კაბინეტში უნდა იჯდეს მინისტრი, როგორში — მისი მოადგილე, რამდენი უნდა დახარჯოს ამაზე, რა მანქანით უნდა იმოძრაოს, რამდენი უნდა დახარჯოს მის მომსახურებაზე, რამდენი უნდა დახარჯოს ხელფასზე და ა.შ. **დღეს ერთი მინისტრი წელიწადში 50 ათას ლარს იღებს, მეორე — 25 ათასს.“**

საქართველოს ბიუჯეტი პოლიტიკური და არა ეკონომიკური ბიუჯეტია — ექსპერტების დიდი ნაწილი სწორედ ამაზე თანხმდება. ზოგადად, როგორც ეკონომიკის ექსპერტი **ემზარ ჯგერენაია** ამბობს, სახელმწიფო ბიუჯეტი ყველა ქვეყანაში პოლიტიკური ნებისა და ეკონომიკური რეალობის ნაზავია და რა დოზით არის ეს მხარეები წარმოდგენილი მასში, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია ქვეყანა, რამდენად დემოკრატიულია იგი და რამდენად გამჭვირვალეა მმართველობა მასში. ის, თუ როგორ ნაწილდება ქვეყნის ბიუჯეტი, მართლად მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები მმართველების პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით ნაწილდება. ფაქტია ისიც, რომ ამ პოლიტიკაში ვერ „ჩაჯდა“ სახელმწიფო მმართველობის დაბალ რგოლებში დასაქმებულების ნორმალური სახელფასო უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ დაბალი ანაზღაურება, ძირითადად, პერიფერიებში მცხოვრებ საჯარო მოხელეებს აქვთ. ალბათ, სახელმწიფო ხაზინადარები (საჯარო მოხელეთა ხელფასების განსაზღვრა სწორედ მათი პრეროგატივაა) ფიქრობენ, რომ ისინი თავის გატანას საკუთარი შინა მეურნეობების საშუალებითაც შეძლებენ. ესეც ზერელე დამოკიდებულებაა — მოუსავლიან გურიასა და ნოყიერნიადაგიან კახეთში ერთნაირი პირობები ვერ იქნება. რომც იყოს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, ერთსაც და მეორესაც, ორმაგი შრომა უწევთ — შინ და გარეთ, თვითმმართველობასა და ყანა-ბოსტანში, როგორმე საკუთარი თავი და ოჯახი რომ გამოკვებონ.

„სტატისტიკას თუ გადავხედავთ, **საჯარო მოსამსახურეების 50%-ზე მეტი დასაქორწინებელი და გასათხოვარია,“** — ამბობს ნუგზარ ჭინჭარაული, — **„მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ეკონომიკური პირობები არ აქვს და არც დრო აქვს, რადგან სამუშაოს შემდგაც საკუთარი თავის გადარჩენისთვის უკვე შინა მეურნეობაში მუშაობს. ასეთ კადრს, როგორც კი მიეცემა საშუალება, როგორც კი ცოტა უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდება, აუცილებლად სხვა სამსახურში გადავა. ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო სექტროში გამოცდილი კადრი აღარ გვეყოლება.**

არსებობს საკითხის სხვა მნიშვნელოვანი კუთხეც: კერძო სექტორი ყოველთვის ცდილობს, საჯარო სექტორში არსებულ ხელფასებთან დაახლოებული ხელფასი ჰქონდეს. თუ საჯარო სექტორში დაბალი ხელფასები იქნა, ხელფასები დაბალი იქნება კერძო სექტორშიც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფენა, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, **საშუალო ფენა, რომელმაც უნდა შექმნას ამინდი ქვეყანაში, არ გვეყოლება, არც საჯარო და არც კერძო სექტროში. თუკი ასე მოხდა, მაშინ ჩვენი ქვეყნის დეკლარირებული ორიენტირი — ზრდა ევროპული ღირებულებებისკენ, მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩება.“**

## წინადადება საქართველოს ხელისუფლებას

„თუკი ხელფასების გაზრდას ინფლაციის ახალი ტალღის შიშით ვერიდებით, გავატაროთ სხვა ღონისძიებები ამ ადამიანების მატერიალური დანაკარგების კომპენსირებისათვის. მაგალითად, მოვაგვაროთ მათი ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი,“ — ამბობს ნუგზარ ჭინჭარაული, — „საჯარო სექტორში, დაახლოებით, 7-10 ათასი დაბალხელფასიანი ადამიანი გვყავს. ამასთან, საჯარო სექტორში მომუშავეების 80%-ის ასაკი არ სცილდება 40 წელს, უხეშად რომ ვთქვათ, დაზღვევის რისკის ჯგუფს არ წარმოადგენს. 10%-იანი ინფლაციის პირობებში, 300-ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანი კარგავს 30 ლარს. სახელმწიფოს შეუძლია მათ აუნაზღაუროს ეს დანაკარგი, თუკი, მაგალითად, 30-ლარიანი სადაზღვევო პაკეტის ღირებულების სამედიცინო დაზღვევას გაუკეთებს, რაც, 7-10 ათასი ადამიანის ერთიანად დაზღვევის პირობებში, ბიუჯეტს ორჯერ ნაკლები დაუჯდება. კორპორატიული დაზღვევის მთელი ხიბლი სწორედ ამგვარ შესაძლებლობებში მდგომარეობს. ეს კარგი იქნება, ერთი მხრივ სადაზღვევო სექტორის განვითარებისთვის და, მეორე მხრივ, იქნება კომპენსაცია ამ ადამიანებისთვის.“

ამ საკითხის გააქტიურების მეთოდებს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი, მოკლე ხანში განიხილავს კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას ევროპელი ექსპერტებიც მიიღებენ. თუმცა, ორგანიზაციაში ესმით, რომ ცენტრალური ხელისუფლების ნების გარეშე ამ იდეის განხორციელება წარმოუდგენელი იქნება.

დღეს სახელმწიფო ბიუჯეტი საჯარო სექტორში დასაქმებულებიდან, სავალდებულო დაზღვევის წესი მხოლოდ მეხანძრეებზე ვრცელდება, მაგრამ საქართველოს ბევრ რაიონში, მეხანძრეებს მხოლოდ სიცოცხლის დაზღვევა აქვთ და სხვა შემთხვევებში მათი დაზღვევა არ მოქმედებს. ამ დაზღვევით ისინი რიგით სამედიცინო მომსახურებასაც კი ვერ მიიღებენ, რადგან მათი დაზღვევა მხოლოდ მაშინ იწყებს მოქმედებას, როცა მეხანძრე უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება. ვითარების უკეთ წარმოდგენისთვის ზემოთ უკვე ხსენებულ გორის რაიონს მივუბრუნდეთ: იქაურ სახანძრო სამსახურში ყველაზე მაღალი ანაზღაურება 420 ლარია, ყველაზე დაბალი — 250. გამოაკელით ამას საშემოსავლო გადასახადი, ინფლაციის პროცენტი და დარწმუნდებით, რომ ამ და ყველა სხვა დაბალანაზღაურებადი ადამიანისთვის, არა მარტო ნორმალური სამედიცინო დაზღვევის მიღებაა მნიშვნელოვანი.

**მაკა ჯაიანი,**
Presage.tv



# მიშას და ვლადის შოუ



## ⊙ საით მივდივართ! — ჯანდაბისკენ?!

# საქართველო: კავკასიის კუბა?

**მოდით, მოვიცილოთ თავიდან აგვისტოს მოწყენილობა და „თამაშით“ გონება გავივარჯიშოთ. მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატიული საქართველო, სადაც ბაზარი თავისუფალია... კავკასიის კუბაა. ორივე ქვეყნისთვის, იმისთვისაც, რომელიც კარიბის ზღვაშია და იმისთვისაც, რომელიც კავკასიაშია, ჩრდილოელი კოლოსი „ნომერო უნო“ პრობლემაა**

**ეს ჩრდილოური იმპერია უკვე დიდი ხანია ერევა როგორც მამაცი საქართველოს, ისე ჰეროიკული კუბის საქმეებში.**

**ოფიციალური ნარატივების თანახმად, რასაც ზურგს მხოლოდ გეოგრაფია უმაგრებს (კავკასიის ქედი თუ ფლორიდის ყურე), ორივე ქვეყნის ნაციონალური ლიდერი ძალაუფლების მოყვარე მეზობლისგან საკუთარი კულტურისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის იბრძვის. რუსეთის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობაზე 32-ჯერ მეტია. შეერთებული შტატების მოსახლეობა კუბისას 28-ჯერ სჭარბობს.**

**იმისთვის, რომ ქვეყანა დაიცვას, ქარიზმატული და გამჭრიახი ლიდერები ცდილობენ საკუთარი ქვეყნის ბედი მჭიდროდ დაუკავშირონ შორეულ სუპერსახელმწიფოებს.**

საერთაშორისო აეროპორტიდან თბილისისკენ მიმავალი მოგზაური ჯორჯ ბუშის ქუჩას გაივლის, სადაც ბილბორდზე 43-ე პრეზიდენტის გაღიმებული პორტრეტია აღბეჭდილი. მეზობელი ქუჩა ჯონ შალიკაშვილის სახელს ატარებს, წარმოშობით ქართველი თავადისას, რომელმაც შემდეგ აშშ-ს გაერთიანებული შტაბის უფროსის სტატუსს მიაღწია. ქალაქის გადაღმა აშშ-ს დიდი საელჩო გადაჭიმულა ქუჩაზე, რომელსაც ამერიკელი ქორეოგრაფის, ქართველი კომპოზიტორის ვაჟის ჯორჯ ბალანჩინის სახელი ჰქვია. ამ პატარა ქვეყნისთვის, სტეროიდებზე გაზრდილი აშშ-ს საელჩო, რომელშიც 400 ადამიანი მუშაობს, ნამდვილად ბევრად უფრო დიდია, ვიდრე აშშ-ს მისიები ხორვატიაში ან ახალ ზელანდიაში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა თითქმის იმდენივეა, რამდენიც საქართველოში — დაახლოებით 4.4 მილიონი. რუსებმა შეიძლება ეს ახალი შენობა ჰავანაში საბჭოთა კავშირის საელჩოს ჰორიზონტალურ ვერსიად მიიჩნიონ. საბჭოთა კავშირის საელჩო ჰავანაში კი ერთ დროს ყველაზე მაღალი შენობა იყო — ოცსართულიანი.

თბილისში ამერიკული საელჩოს ძირითადი ფუნქცია საქართველოში ამერიკული დახმარების დისტრიბუციის კონტროლია. ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, საქართველო 15 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის, ამერიკული დახმარების ყველაზე დიდი რეციპიენტია. 2008 წლის აგვისტოში ვაშინგტონმა თავის ახალგაზრდა მოკავშირეზე თბილისში კონტროლი დაკარგა და მან რუსეთის მშვიდობისმყოფელებს შეუტია. ეს სიუხვე ძირითადად მაშინ მიღებული ზარალის კომპენსაციაა.

ისტორიკოსებმა შეიძლება პარალელებიც კი მოძებნონ, რუსულ-ქართული ომის განმავლობაში, თბილისსა და აშშ-ს შორის გამართულ დიპლომატიურ მიმოწერაში და მოსკოვისა და ჰავანას მიმოწერას შორის, 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისის დროს. ახლა უკვე ცნობილია, რომ იმჟამინდელი საბჭოთა პრემიერი ნიკიტა ხრუშჩოვი ცდილობდა შეეკავებინა მისი აგრესიული ლათინი მოკავშირე ფიდელ კასტრო.

ზნეკეთილ ამერიკელთა მთელი თაობები ცდილობდნენ კუბაში კასტროს რეჟიმს მისწვდომოდნენ. როგორც ჩანს, ისინი უგულებელყოფდნენ იმ ფაქტს, რომ ანტიამერიკანიზმი ის საყრდენია, რომელიც ზურგს უმაგრებდა ძმებ[ი] კასტროების მმართველობას. ყოველდღიური ურთიერთობები „ნორმალურია“ და მაკდონალდის დროშების მომრავლება ჰავანაში, ალბათ კასტროს რეჟიმის დასასრულის დასაწყისის მომასწავებელია.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის საყრდენი სვეტიც რუსოფობიაა. გასულ წელს ქართულ ქალაქებში მეორე მსოფლიოს ომის მემორიალები ან ააფეთქეს, ან აიღეს. ახალი კანონმდებლობით საჯარო სივრცეებში აიკრძალა საბჭოთა სიმბოლიკა, იმ ხიდებზეც კი, სადაც რკინის გისოსებში ხუთქიმიანი ვარსკვლავია ამოტვიფრული.

თბილისის მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმია — კუბაში იანკების იმპერიალიზმისადმი მიძღვნილი მუზეუმის სარკისებური იდეოლოგიური ანარეკლი.

საქართველოში „მოთხოვნის დეფიციტის“ გამო რუსულენოვანი სკოლები იხურება, რუსული ენა ტელევიზიებში, რადიოში და საჯარო სივრცეში აზრებზე, მკაცრად იზღუდება.

ამიტომ პოსტსაბჭოთა ქართველები, ისინი, ვინც, 35 წელზე ახალგაზრდები არიან, რუსულად ცუდად ლაპარაკობენ. ერთ დღესაც, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება და ქართველები ისევ გაემგზავრებიან ჩრდილოეთით, მათ დიდი გაჭირვება ელით რუსეთში მცხოვრებ თავის ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან კომუნიკაციისას, მათი რაოდენობა კი 500 000-ს აღწევს.

იმის ნაცვლად, რომ მეზობლების ენა ისწავლონ, თბილისმა სკოლის ყველა მოსწავლეს ინგლისურის სწავლა დაავალა. საგანმანათლებლო ინსტიტუტები ახალგაზრდა ამერიკელ და ბრიტანელ მასწავლებლებს მთელი ქვეყნის (რომელიც ფართობით ირლანდიის ტოლია) სოფლებში აგზავნიან. მართალია ინგლისური ლამაზი ენაა, მაგრამ უახლოესი ინგლისურენოვანი ქვეყანა ბრიტანეთია და მას საქართველოდან 3 000 კილომეტრი აშორებს.

რუსული საქართველოს ყველა მეზობლისთვის და ტურისტისთვის, თურქების გარდა დღესაც ლინგვა ფრანკაა.

პარალელურ ლინგვისტურ ანომალიას ადვილად გადაეყრებით კუბაში, სადაც 40-ს გადაცილებული ადამიანები კარგი რუსულით ლაპარაკობენ და სულ არ იციან ინგლისური. თუ სამეზობლოს გავითვალისწინებთ, ამგვარი ვითარება გამოსადეგი არ უნდა იყოს.

იმ დროს როდესაც ქართველები (იგივე კუბელები) ჩივიან სასტიკი მეზობლის მიერ დაწესებული უსამართლო სავაჭრო ემბარგოს გამო, ისინი როგორც ჩანს, ძალიანაც არ ჩქარობენ ამ საკითხის მოგვარებას. საქართველოს სამთავრობო შენობაში, მაღალ სართულზე, თბილისში, მე საქართველოს ეკონომიკის მინისტრს, კანადაში გაწვრთნილ ვერა ქობალიას ველაპარაკები იმის შესახებ, რომ საქართველოს თავისი ცნობილი ღვინისა და მინერალური წყლების გაყიდვა რუსეთში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ მთავარ ბაზარზე არ შეუძლია.

მინისტრი ლაჟვარდოვანი თვალებით შემომცქერის. ის პარტიულ ხაზს მიჰყვება და ამბობს, რომ რუსული ემბარგო რეალურად კარგი რამ იყო ქართული ღვინისთვის, რომ მათ გააუმჯობესეს მარკირება და ღვინის ხარისხი ევროპის კავშირის სტანდარტებამდე აიყვანეს.

რეალურად ყველაზე დიდ მოგებაში მე დავრჩი. თბილისის სუპერმარკეტში მისულმა შესანიშნავი თეთრი, მშრალი ღვინის ექვსი ბოთლი ვიყიდე მოსკოვში წასაღებად და 50 დოლარის ქართული ეკვივალენტი გადავიხადე.

მოსკოვში სიხარულით შეხვდებოდნენ ქართული ღვინის სავაჭრო რაოდენობას. აქ სუპერმარკეტებში მესამეხარისხოვანი ერთი ბოთლი ევროპული ღვინო 20 დოლარი ღირს. რესტორნებში იგივე პროდუქტის პაწაწინა ულუფას ჭიქით 12 დოლარად მოგართმევენ.




კუბაშიც და საქართველოშიც ქარიზმატული პრეზიდენტები თავის შარმსა და ქარიზმას სტუმრად ჩამოსულ უცხოელებთან პოლიტიკური მაგიისთვის იყენებენ.

მაშინ, როდესაც ფიდელი სტუმრად ჩასულ ევროპელებსა და კანადელებს ჰავანური სიგარების კოლოფით ხვდება, საქართველოს „მიშა“ სააკაშვილი იმითაა ცნობილი, რომ უცხოელი სტუმრები დილით ვერტმფრენით სათხილამუროდ მიჰყავს კავკასიის მთებში, ხოლო შუა დღეს შავი ზღვის სანაპიროზე — საცურაოდ.

შუალედში კი საქართველოს ლიდერმა შეიძლება საუკეთესო იტალიური კერძი და ღვინო შემოგთავაზოთ.

ნიუ-იორკში დახვეწილი, მშვენიერი ამერიკულით მოლაპარაკე მიშა ამერიკელ კონგრესმენებსა და ტელეკორესპონდენტებს თავს ისე აგრძნობინებს, როგორც საკუთარ სახლში. მისი გულწრფელი თავდასხმა რუსულ ექსპანსიონიზმზე მუსიკასავით ჩაესმის ამერიკელთა იმ თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ცივი ომის ეპოქიდან მოდიან.

იმავე ინტონაციაში, ფიდელ კასტრო დეკლარირებს ამერიკელთა მიერ კონტროლირებად ანკლავზე გუანტანამოში ან იმაზე, თუ როგორი მარცხი განიცადეს ამერიკის მხარდაჭერით მოქმედმა ჯარებმა Bahia de los Cochinos-ისაზე თავდასხმისას. მისი ეს მონათხრობი იმ ლათინო-ამერიკელებს აღელვებს, რომლებიც ისტორიულად ამერიკელებისგან თავს დამცირებულად გრძნობენ.

იქ, სადაც კასტრო თავის ლათინურ ქარიზმას იყენებს გრინგოების დასაჯაბნად, სააკაშვილი ქართულ სიმკვირცხლეს მიმართავს რუსეთის სლავი ლიდერების დასაჩრდილად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა იოლად მოიგო რეალური, მაგრამ საზარლად დამარცხდა PR ომში. დღეს უკვე ჩრდილოსამხრეთული მტრობა პირად ხასიათს ატარებს.

ომის მსვლელობისას პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ქართველ პრეზიდენტს ინტიმური ადგილებით დაკიდებდა. თავის მხრივ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პუტინს „ლილიპუტინი“ უწოდა, რუსი ლიდერის მოკრძალებულ სიმაღლეზე მინიშნებით.

გასულ კვირას ქართველი და რუსი რეპორტიორებისთვის მიცემულ ინტერვიუში, პრეზიდენტმა მედვედევმა არად ჩააგდო თავისი ხალისიანი კოლეგა და მას აბეზარი უწოდა.

რუსმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არასდროს ჩამოართმევს ხელს პრეზიდენტ სააკაშვილს ომის დაწყების გამო და დაიფიცა: „მე მას ამას არასდროს ვაპატიებ, არასდროს დაველაპარაკები, თუმცა ხანდახან სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე ის ცდილობს თვალი ჩამიპაჭუნოს“.

8 აგვისტოს ომის წლისთავზე ამ განცხადებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც, სერგეი ლავროვიც შეუერთდა და ქართველ ლიდერს „პათოლოგი და ანომალიური“ უწოდა. შემდეგ რუსეთის უმაღლესმა დიპლომატმა ქართველის დედასაც მიაყენა შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ ის „აშკარად ძალიან ცუდადაა გაზრდილი“.

ბავშვებივით ერთმანეთის ძაგება ნაცნობია დასავლეთ ნახევარსფეროშიც. ამერიკელი კარიკატურისტის ჯულს ეიფერის კლასიკურ ნახატზე ეიზენჰაუერიდან დაწყებული 8 ამერიკელი პრეზიდენტია გამოსახული ორმწკრივად. ყველა პრეზიდენტს ერთი წარწერა ახლავს: „ფიდელ კასტრო ჩემი პრეზიდენტობისას წავა“.

მაგრამ ფიდელ კასტრო სახელმწიფოს მეთაურის სტატუსში ისე დიდხანს დარჩა, რომ თითქმის დედოფალ ელისაბედის მეფობის წლებს გადააჭარბა. იმის გამო, რომ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა არაა, მას მომავალში ბევრი სხვადასხვა პრეზიდენტი არ ეყოლება. ბევრ ანალიტიკოსს სწამს, რომ პრემიერ-მინისტრი პუტინი მომავალ წელს პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნდება და სათავეს დაუდებს თავის 25-წლიან მმართველობას რუსეთში.

**სამხრეთის საზღვრებზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა შესაძლოა მიბაძოს თავის მოსისხლე მტერს. მან 2013 წლის იანვრისთვის, იმ მომენტისთვის, როდესაც მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა შექმნა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებანი განამტკიცა. ქართველმა პრეზიდენტმა შეიძლება მშვენივრად მიბაძოს პუტინს: გამოიცვალოს თანამდებობა, მაგრამ შეინარჩუნოს ძალაუფლება.**

**თუ იმ ამერიკელი პრეზიდენტების სახელებს გავიხსენებთ, რომლებმაც 50 წლის განმავლობაში თავიდან ვერ მოიცილეს ფიდელ კასტრო, გამოდის, რომ ჩვენ მიშას და ვლადის შოუს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი ვნახეთ, მაგრამ საქართველოს და კუბას უამრავი კილომეტრი აშორებს, ასე რომ თამაში დამთავრებულია.**

**ჯეიმს ბრუკი**

Presage.tv

## ⊙ ინფორმაცია

### სურსათის ეროვნული სააგენტო ჯილეხთან დაკავშირებით კომენტარზე უარს ამბობს

**სურსათის ეროვნული სააგენტო ჯილეხთან დაკავშირებით კომენტარზე უარს ამბობს. სპეციალისტების განცხადებით, ჯილეხით დაავადების მატება იმაზე მიუთითებს, რომ დაავადების აღმოფხვრას შესაბამისი ყურადღება არ ექცევა. მათი თქმით, ჯილეხის ვაქცინა ასპროცენტიანი ეფექტურობით გამოირჩევა და ცხოველის აცრის შემთხვევაში მას ჯილეხი არ დაემართება.**

**როგორც ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა ლევან მაკარიძემ განაცხადა, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ქმედებაა საჭირო ჯილეხთან საბრძოლველად.**

**— არაკეთილსაიმედო კერებში მასობრივი ვაქცინაცია უნდა განხორციელდეს. ვაქცინა ასპროცენტიანი ეფექტურობით გამოირჩევა და ცხოველის აცრის შემთხვევაში მას ჯილეხი არ დაემართება. ვერც ერთი სამსახური ვერ უზრუნველყოფს ინფექციის აღმოფხვრას, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ გამოიყო თანხები ვაქცინაციისთვის და არ გატარდა პრევენციული ზომები ჯილეხთან საბრძოლველად, — განაცხადა მაკარიძემ.**

**მისი თქმით, ჯილეხი ძალიან საშიში ინფექციაა, რომელთანაც ზერელედ მიდგომა დაუშვებელია, სახელმწიფო ყველანაირ შესაძლებლობას იძლევა დაინფიცირებულთა მკურნალობისთვის. შემთხვევის დაფიქსირების დროს კი რეაგირება მაშინვე ხდება.**

**დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოს დავუკავშირდით. უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა შეკითხვების წერილობით გადაგზავნა ითხოვა, თუმცა კითხვების გაგზავნის შემდეგ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მათზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.**

ХО-ЭОБ-ЭБО

გლობუსი

# ვინ აფათურებს ხელს ახლო აღმოსავლეთის მღვრიე წყალში?

**ტუნისში დაწყებული არაბული რევოლუცია ისეთ არაბულ ქვეყანაზეც გავრცელდა, რომლის სტაბილურობა არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ მსოფლიოში ნაკლებად იწვევდა ეჭვს. მამა-შვილ ასადების კლანი, ჯერ ჰაფეზის, ამჟამად ბაშარის, მრავალი ათეული წელია მართავს ამ ქვეყანას, თანაც ახლო აღმოსავლეთისთვის შესაფერისი ეფექტიანობით. მაგრამ არაბულმა გამოღვიძებამ ფუნდამენტი შეურყია მამა-შვილის რეჟიმის არსებობას.** სირიის ამბოხი რამდენიმე თვეა გრძელდება და, როგორც ჩანს, მისი დასასრული კარგა ხანი არ იქნება. ქვეყნის მმართველი შიიტურ-ალავიტური ჯგუფი – უმცირესობა სუნიტურ სირიაში, სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა აშშ-ი.

აშშ-ი, რომელიც ერთობ დაბნეული შეხვდა არაბულ რევოლუციებს, მაქსიმალურად ცდილობს დაბნეულობიდან გამოსვლას და ისეთი პოზიციის დაკავებას, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს ამ რეგიონში მისი იმიჯის განმტკიცებას. სწორედ ამიტომ აცხადებს ის, რომ ხელისუფლება-ხალხის დაპირისპირებაში ხალხის მხარეზე იქნება. **რახანია მსგავს განცხადებას ელის საქართველოს მოსახლეობა, თუმცა ამაოდ, ვინაიდან პოლიტიკურ თამაშებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკას, რეგიონს და იქ განვითარებულ მოვლენებს.**

ოფიციალური ვაშინგტონი თავს უფლებას არ მისცემდა, რეგიონის მმართველობის საწინააღმდეგო ამგვარ განცხადებაში თუნდაც ერთი წლის წინათ. მაშინ სხვა ვითარება იყო იქ და ვერავინ იფიქრებდა, რომ ვაშინგტონის ძმობილშერაცხულ ეგვიპტის პრეზიდენტს მუბარაქს საკაცით მიიტანდნენ საკუთარ სასამართლო პროცესზე, ხოლო ტუნისის პრეზიდენტს ტუნისელები უმძიმეს სასჯელს (დაუსწრებლად) გამოუტანდნენ. **კარდინალური ცვლილება ხალხმა გამოიწვია, თანაც ყოველგვარი ოპოზიციური ძალის დახმარების გარეშე, რაც თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის საქმე თვით ქვეყნის ხალხმა უნდა აკეთოს და არა სხვამ, როგორც ეს ქართველებს ჰგონიათ.**

ვაშინგტონის ხალხთან დგომის განცხადებამ მაინცდამაინც დიდი სიმპათია ვერ გამოიწვია არაბებში, რამეთუ ისინი თვლიან, რომ განცხადებამ დააგვიანა, დაგვიანების მიზეზი კი მარტივია – თავზეხელგადასმული პრეზიდენტების შენარჩუნება.

თეთრ სახლში ობამას ადმინისტრაციის მისვლის ორწლინახევრის თავზე გაირკვა, რომ არაბულ სამყაროში აშშ-ს იმიჯის გამოსწორებას ადგილი არ ჰქონია. ამას იუწყება ამერიკულ-არაბული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. „ზოგბი ინტერნეშენაილის“ მიხედვით ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის მისამართით გამოთქმული დადებითი მოსაზრებების რაოდენობამ 2008 წლის ნიშნულზე დაბლა დაიწია. მაგალითად საუდის არაბეთში გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტი არის პოზიტიურად განწყობილი მოკავშირე ამერიკისადმი, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 41 პროცენტს აღწევდა; ეგვიპტეში მხოლოდ 5 პროცენტი. 2009 წელს ასეთი – 30 პროცენტი იყო. რეგიონში ათ პროცენტზე ნაკლები ეკიდება ბარაკ ობამას პოზიტიურად. გამოკითხვაში 4.000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

ყველაფერი დაიწყო კაიროს უნივერსიტეტში ობამას მიერ გაკეთებული მოხსენებით, რამაც ფურორი გამოიწვია აშშ-ში, მაგრამ აღაშფოთა ისრაელი. მაშინ ობამამ მკაცრად მოუწოდა ისრაელს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარება და 1967 წლის საზღვრებში დაბრუნება. გარდა ამისა, ობამამ მოითხოვა სირიის, იემენის, ბაჰრეინის და ირანის ხელისუფლებისგან დემოკრატიული რეფორმების გატარება, საკუთარ ხალხზე წნეხის მოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებიდან წასვლა. გამოკითხვის შედეგებმა გააკვირვა ობამა, თუმცა იმავდროულად მან აღნიშნა, რომ წინამორბედისგან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. თვით ინსტიტუტის აზრით ობამას ნაცვლად ჯადოსნური ჯოხისა, ნიჩაბი ხვდა წილად ღრმა ორმოდან გამოსასვლელად.

დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს დამოკიდებულება სირიისადმი გამორჩეულია. ვაშინგტონს ცხადია, გულზე არ ეხატება სირიის ხელისუფლება და პრეზიდენტი ბაშარ ასადი, მრავალ მიზეზთა გამო, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი საგარეო კურსის, ირანთან მჭიდრო თანამშრომლობის რუსეთთან კავშირის გამო. სირიას კარგი ურთიერთობა აქვს ირანის შემდეგ აშშ-ს მეორე მტერთან, – ჩრდილოეთ კორეასთან. კორეელი მეცნიერები თანამშრომლობდნენ სირიელ კოლეგებთან ბირთვული იარაღის შექმნის დარგში. მკითხველმა იცის, რომ ამ პროგრამას წერტილი დაუსვა ისრაელის საჰაერო დაბომბვამ. სირია თანამშრომლობს ინდოეთთან და ჩინეთთან ენერგომატარებლებით – ნავთობითა და გაზით ვაჭრობის სახით. საბჭოთა კავშირიდან დაწყებული მოსკოვთან ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს, სირიის შეიარაღებაში დიდი წვლილი რუსეთს აქვს შეტანილი. ამ თვალსაზრისით თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. ყოველივე აღნიშნული აღიზიანებს ვაშინგტონს, მაგრამ იძულებულია თავი შეიკავოს ანტისირიული მკვეთრი მოქმედებისგან, ვინაიდან სირიის პრეზიდენტის დამხობამ მკვეთრად ანტიდასავლური, რადიკალური ისლამისტური ხელისუფლება შეიძლება მიიყვანოს სირიის სათავეში. ასეთი ცვლა უდავოდ ისრაელთან ახალი ომის საწინდარი იქნება.



2011 წლის დასაწყისამდე ახლო აღმოსავლეთის ძალთა ბალანსის გარანტორად ეგვიპტე და მისი პრეზიდენტი მუბარაქი მოიაზრებოდა. ეგვიპტის მდგომარეობა დღეს გაურკვეველია და ასეთად დარჩება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ორივე, უახლოეს მომავალში დაგეგმილი. მომავალ არჩევნებში თავის სიტყვას იტყვის ორგანიზაცია ძმები მუსლიმანები, თავის დროზე მუბარაქის მიერ აკრძალული.

ცუდია თუ კარგი – ისრაელს აწყობს სირიის ხელისუფლება, რამეთუ ცვლა უდავოდ გამოიწვევს სირიელი ისლამისტების აღზევებას. ამბოხი, რომელსაც ადგილი აქვს სირიაში, და რომელსაც ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ეწირება, რადიკალური ისლამის მოქმედების ნაყოფია. ხელისუფლების მიერ დახოცილებსა და დაპატიმრებულებში მრავლად არიან უცხოელი ბოევიკები. მეამბოხეთა წინააღმდეგ გაშლილ ფრონტში დასავლეთი მკვეთრად ადანაშაულებს ოფიციალურ დამასკოს და მოუწოდებს მას სადამსჯელო ოპერაციების შეწყვეტისკენ. აშშ-ი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ცდილობენ სირიის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესებას. ვაშინგტონი მოუწოდებს ჩინეთსა და ინდოეთს შეწყვიტონ თანამშრომლობა ასადის მთავრობასთან, რუსეთი და ჩინეთი მხარს არ უჭერენ უშიშროების საბჭოს სანქციების დაწესებას, რაც არ არის გასაკვირი ლიბიიდან გამომდინარე. რუსეთის თვალის დახუჭვამ ხელ-ფეხი გაუხსნა აშშ-ს და მის ნატოელ მოკავშირეებს ლიბიის დაბომბვაში, ათასობით მშვიდობიანი ლიბიელის განადგურებაში.

ლიბიის მაგალითმა უნდა დაარწმუნოს დასავლეთი, რომ მარტო სამხედრო უპირატესობა დიდ შედეგს ვერ მოიტანს. თავის მხრივ სირიის ხელისუფლება მზადაა არა მარტო რეფორმების გატარებისთვის, რასაც დასავლეთი ითხოვს მისგან, არამედ ოპოზიციასთან დიალოგის დაწყებისთვის. ოპოზიციის სამწუხაროდ – მას ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესების არავითარი გეგმა არ გააჩნია.

ეკონომიკური სანქციები დასჯის ნაცადი მეთოდია, ვაშინგტონი რომ მიმართავს მისთვის არასასურველი ქვეყნის მიმართ. სანქციების არაერთი სახეობა არსებობს, მათ შორის ყველაზე რბილიც კი მძიმედ მოქმედებს ქვეყანაზე. სანქციებით დაზარალებული სახელმწიფო, ცდილობს იხტიბარი არ გაიტეხოს, და პატრიოტულად აცხადებს, რომ სანქციებით მას ვერ გატეხენ. და მართლაც ჯერჯერობით სანქციებით წაქცეული სახელმწიფო არ ჩანს. ის, რაც ჩანს არის სანქციებით გამოწვეული სიდუხჭირე, მძიმე სოციალური პირობები, მაგრამ ამასთანავე საზოგადოების კონსოლიდაცია საკუთარი ხელისუფლების ირგვლივ. სანქციების დაწესების უმთავრესი მიზანი ისაა, რომ სანქციებით გაწამებული ხალხი აღდგეს საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ, 50 წელია არსებობს კუბის ეკონომიკური ბლოკადა დაწესებული აშშ-ს მიერ, მაგრამ კუბაც არსებობს, ცხადია, საყოველთაო, სანქციების არარსებობის შემთხვევაში კუბა გაცილებით უკეთ იცხოვრებდა, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია – არ დაჩოქების.

სირიის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები უფრო სამომავლო პოლიტიკაა. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, აშშ-ს სათქმელი ექნება, რომ მან სანქციებით დასაჯა ბაშარ ასადი, მაგრამ ოფიციალური ვაშინგტონი არ ელოდება სანქციებით მოტანილ „სიკეთეებს“, ის ქმედით ზომებს ახორციელებს, რასაც ოპოზიციასთან საერთო ენის გამოძებნა ჰქვია. ეს გზა ვაშინგტონს ავღანეთმა დაანახა. ვაშინგტონი რა ხანია დარწმუნდა, რომ თალიბებთან ომს ვერ მოიგებს. ამიტომაც ფარულად აწარმოებს მოლაპარაკებას შედარებით „რბილ“ თალიბებთან.

სირიის ხელისუფალთა მტკიცებით ანალოგიურ იატაკქვეშა კავშირებს აქვს ადგილი სირიის ოპოზიციასთანაც. სირიის ხელისუფლების პოზიციების განმტკიცებაში თუ ვინმეა დაინტერესებული, უპირველესად ირანია. ორივეს მტერიც ერთი ჰყავს – აშშ-ი. ამდენად სულაც არ არის გასაკვირი გავრცელებული აზრი, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ დამასკოს თეირანი უწევს დახმარებას. ირანს კარგად აქვს წარმოდგენილი, რა მოელის ბაშარ ასადის დამხობის შემთხვევაში. მან კარგად იცის, რომ ასადის წაქცევის შემდეგ დასავლეთი მთელ ძალებს ირანის წინააღმდეგ აამოქმედებს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ზედიზედ მიღებული სანქციები ამის დამადასტურებელია. სანქციების მთავარი მიზანი ის არის, რომ ირანმა ხელი აიღოს ბირთვულ პროგრამაზე. სანქციებმა სერიოზულად იმოქმედა ირანზე, გაართულა მისი კავშირები პარტნიორ სახელმწიფოებთან, ისეთებთან, როგორებიცაა ინდოეთი და ჩინეთი. ირანის ენერგეტიკული სიმდიდრეები ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობს ხელს. სულ ახლახან თეირანმა გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება ინდოეთის მიმართ – თუ ის დროულად არ გადაიხდის ირანის ვალს – 5 მილიარდ დოლარს, ირანი იძულებული იქნება, შეუწყვიტოს ნავთობის მიწოდება. სწორედ სანქციების შედეგად დელის უჭირს საფასურის გადახდა. ბოლო დროს თითქოს მან გამოძებნა გზა ტრანშის განსახორციელებლად. ეს გზა თურქეთზე გადის. ცნობისთვის ინდოეთის ნავთობის იმპორტის 12 პროცენტი ირანზე მოდის. ირანის ბანკებს ეკრძალებათ დასავლეთის კომპანიებთან საბანკო ოპერაციების დოლარებში წარმოება.

გადარიცხვების თვალსაზრისით მძიმე ვითარებაა შექმნილი ჩინეთთან მიმართებაშიც. ჩინეთი ირანის ნავთობის ექსპორტის 20 პროცენტს იყენებს. ამ ქვეყანას ირანის ვალი აქვს – 20 მილიარდი დოლარი. სანქციებიდან გამომდინარე, ჩინეთი მზადაა ვალი მხოლოდ ბარტერით დაფაროს, რაც ნაკლებად აწყობს ირანს.

აშშ-ს მიერ სირიის წინააღმდეგ ამოქმედებულ სანქციებს ერთი მიზანი აქვს – ასადის დასუსტება და ხელისუფლებიდან ჩამოშორება, თუ რამდენად შეძლებს ამას ვაშინგტონი, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

ინფორმაცია

### „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ინფორმაციით, სასტუმრო „კოლხეთიდან“ დევნილების გამოსახლება იგეგმება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ დევნილთა ომბუდსმენმა მაია ხარაძემ განუცხადა, არ არის გამორიცხული, რომ რამდენიმე დღეში, დევნილთა სამინისტროს მიერ, გამოსახლების შესახებ გაფრთხილების ფურცლები სასტუმრო „კოლხეთში“ მცხოვრებ დევნილებს მიუტანონ.**



**მისივე ცნობით, სასტუმრო „კოლხეთში“ 110 ოჯახი ცხოვრობს და ძირითადად სამაჩაბლოდან დევნილი ოჯახები არიან, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე „კოლხეთში“ კომპაქტურად არიან ჩასახლებული.**

**„ხელისუფლება, ფორსმაჟორული ტემპით და განსაკუთრებული აგრესიით აგრძელებს დევნილთა იძულებით გამოსახლებას. სააკაშვილსა და სუბელიანს სულ არ ადარდებთ დევნილთა ბედი და არ აინტერესებთ, საქართველოს კანონმდებლობითაა თუ საერთაშორისო ნორმებით დაცული დევნილთა უფლებები“, – განაცხადა მაია ხარაძემ.**

### ქობულეთში „სოფლის მხარდამჭერის პროგრამა“ თითქმის შესრულებულია

**ქობულეთში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ 93% შესრულებულია. აჭარის მთავრობის ინფორმაციით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.**

**წყლის რეზერვუარი, მინი სტადიონი, მოსაცდელები, კლუბები – ეს იმ ობიექტთა მცირე ჩამონათვალია, რომელთა რეაბილიტაცია და მშენებლობა მოსახლეობის გადაწყვეტილებით ქობულეთის 45-ვე სოფელში მიმდინარეობს.**

**2011 წელს ქობულეთში პროგრამისთვის მილიონ 77 ათასი ლარი გამოიყო. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ უკვე მესამე წელია ხორციელდება.**

ჯი-ეიჩ-ენი

**◉ რა ხდება კარის მეზობლებთან?**

# სომხებმა დააკონკრეტეს, თუ რატომ სურთ გარეგინ მეორის გადადგომა



**სოციალურ ქსელ Facebook-ზე მოქმედმა სამოქალაქო ინიციატივის წევრებმა, სახელწოდებით „მოვითხოვთ კათალიკოსის გადადგომას!“ სპეციალური მიმართვა გაავრცელეს, სადაც დააკონკრეტეს, თუ რატომ სურთ გარეგინ მეორის გადადგომა.**

სომხებს საკუთარი კათალიკოსის მიმართ მრავალრიცხოვანი პრეტენზია დაუგროვდათ. თუმცა იმ აურაცხელ პრობლემათა მიუხედავად, რის გამოც სომხები საკუთარი კათალიკოსის გადადგომას ითხოვენ, მიმართვა მხოლოდ რამდენიმე პუნქტით შემოიფარგლება.

**„იმის გამო, რომ ოპონენტთა მხრიდან ჩვენს მიმართ მხოლოდ უსაფუძვლო და დემაგოგიური განცხადებები ისმოდა, საჭიროდ მივიჩნიეთ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ ჩვენი მოთხოვნების შესახებ,“** — ნათქვამია სომხური სამოქალაქო ინიციატივის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ჩამოთვლილია ის შვიდი ძირითადი პუნქტი, რის გამოც გარეგინ მეორე უნდა გადადგეს. კერძოდ:

**1. კათალიკოსის გულგრილობა სომხური ენისა და სომეხი ხალხის მომავალთან დაკავშირებით, რაც იმ დროს გამოჩნდა, როცა სომხურ ენასთან მიმართებით პარლამენტის მიერ მოღალატურ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების დამტკიცებისას კათალიკოსმა სრული დუმილი არჩია.**

**სამოქალაქო ინიციატივის წევრების თქმით, „განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პირველი პუნქტის მნიშვნელობა, რადგანაც საუკუნეების მანძილზე სწორედ სომხური ენა და მესროპის დროინდელი დამწერლობა იცავდა სომეხ ერს, ხოლო ჩვენს ეკლესიას ეროვნულობას სძენდა. ამ კანონპროექტის მიღებით სომხეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ და კათალიკოსის დუმილით გამოხატულმა გულგრილობამ ჩვენი ერის დაღუპვის ნიადაგი შექმნა“.**



**2. შუა საუკუნეების სომხური ეკლესია-მონასტრებისთვის კულტურული გენოციდის მოწყობა (ევრორემონტის სახით), რაც გარეგინ მეორის აღსაყდრების დროიდან განხორციელდა.**

**3. სასულიერო პირების კორუმპირებულობა, რაც სომხეთის ეკლესიის მომავალს საფრთხეს უქმნის.**

**4. უდიდესი ბარიერის შექმნა სომხურ ეკლესიასა და ხალხს შორის, რაც ასუსტებს ეკლესიას და სხვადასხვა სექტანტურ ორგანიზაციას სტიმულირების საშუალებას აძლევს.**

**5. ადამიანებში ეკლესიისადმი უნდობლობისა და უპატივცემულობის ფორმირება, რომლის მიზეზიც აშკარაა.**

**6. სომხურ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ჩამოყალიბებული არაბუნებრივი და ეჭვის გამომწვევი „ძმობა“.**

**7. ეკლესიის ჩართვა ბიზნესის სამყაროში.**

ამ შვიდპუნქტიანი ინიციატივის ავტორები ეროვნული საეკლესიო საბჭოსაგან ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესახებ წერილობით განმარტებას მოითხოვენ.

როგორც აღვნიშნეთ, სომხებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა გარეგინ მეორის მიერ 2010 წლის ივნისში სომხურ ენასთან დაკავშირებით გამოჩენილი გულგრილობა, რაც კათალიკოსის წინააღმდეგ ბრალდებათა პირველ პუნქტში დააფიქსირეს კიდეც. როცა სომხები საკუთარი პარლამენტის მიერ ენასთან დაკავშირებით კანონპროექტში შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებდნენ და მთელი ერევანი საპროტესტო აქციებმა მოიცვა, გარეგინ მეორე დუმდა. იმ დროს კი ერევანში გაკრული იყო ლოზუნგები: „შეინარჩუნე შენი გენი და შენი ენა“. სომხები მრავალათასიან მიტინგებს აწყობდნენ და თავიანთ ქვეყანაში ყველა უცხოური სკოლის, მათ შორის, რუსულის გახსნას ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი განათლების მინისტრის გადადგომასაც მოითხოვდნენ, რომელმაც უცხოენოვანი სკოლების გახსნის იდეა წამოაყენა.

სხვათა შორის, სომხეთი ერთადერთია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, სადაც უცხოენოვანი სკოლების გახსნა იკრძალება, რადგან სომხები ამას საკუთარი ენის შეურაცხყოფად და უპატივცემულობად აღიქვამენ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ მღელვარების ფონზე, გარეგინ მეორე საკუთარ ხალხთან არ დადგა.

რაც შეეხება ძველი ისტორიული ძეგლებისადმი გულგრილობას, ამის გამო გარეგინ მეორეს ლამის ანათემა მოუწყვეს. კათალიკოსს არ აინტერესებდა მთებში მიტოვებული ეკლესიები. არადა, ისტორიული ძეგლები (და არა მხოლოდ საკუთარი) სომხების განსაკუთრებული ტკივილია. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ მედიაში იწერებოდა და დღესაც იწერება აშოტ პოლოსიანის რეპორტაჟები ციკლიდან „მიტოვებული სომხეთი: საეკლესიო ძეგლების, ისტორიისა და კულტურის გაჩანაგება“. სტატიათა ციკლში ავტორი საუბრობს სომხეთის მთებში უყურადღებოდ მიტოვებულ სანაინის მონასტერზე, რის გამოც გარეგინ მეორემ სომხების უკმაყოფილება დაიმსახურა.

ამ რეპორტაჟების ციკლში მოხვდა ახტალაც, როგორც უპატრონოდ მიტოვებული მონასტერი. სომეხი მეცნიერის სამოელ კარტაპეტიანის თქმით, 90-იან წლებში თითქოს ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აქტიური პოლიტიკა დაიწყო არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთშიც მდებარე „სომხური“ ძეგლების მისათვისებლად. რეაქციული მეცნიერის მტკიცებით, თითქოს ქართველებმა, სხვა „სომხურ“ ძეგლებთან ერთად სათავისოდ სწორედ ახტალა შეარჩიეს და „სომხური ქალკედონური მონასტრები“ საკუთარ სიაში შეიტანეს.

სომხური გადმოცემის თანახმად, ეს სწორედ ის ახტალის მონასტერია, სადაც ინახებოდა წმიდა ჯვარი, რომლითაც იოანე ნათლისმცემელმა იესო ქრისტე მონათლა.

სინამდვილეში, ეს ის ახტალაა, რომელიც (კახეთს გარდა) საქართველოსგან წართმეულ ლორეში (ლორე-ტაშირის რეგიონში) მდებარეობს, ორჯონიკიძემ სომხებს რომ გადაულოცა. ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ახტალის სამონასტრო კომპლექსის დაარსება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. მართალია, ვახტანგ გორგასლის დროინდელი ეკლესიის კვალი აღარ არსებობს, მაგრამ სწორედ აქ დაუარსებია გორგასალს აგარაკის საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც ქვემო ქართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერად ასწლეულების მანძილზე რჩებოდა. 1920-იან წლებამდე ლორე სამხრეთ კავკასიაში მართლმადიდებლური აღმსარებლობისა და სამონასტრო აღმშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად ითვლებოდა, რომ არა ბოლშევიკთა „რკინის კომისრის“ ორჯონიკიძის გულუხვობა...

**მარიამ ლოლაშვილი**

**◉ ვალები, ვალები...**

***ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ნათქვამი — სხვის ფულს დროებით სესხულობ, საკუთარს კი სამუდამოდ აბრუნებო, როგორც ჩანს, სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. ზოგიერთი ფულის სესხებას, თუნდაც ერთი შეხედვით ხელსაყრელი პირობით, მაინც თავს არიდებს იმის გათვალისწინებით, რომ სესხის ვადა, რაოდენ გრძელვადიანიც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან ამოიწურება, რის შემდეგ საკუთარი ფულის უკან დაბრუნება „სამუდამოდ“ გახდება აუცილებელი. ზოგიც ამას მაინცდამაინც დიდად არ დარდობს, რადგან საკუთარი მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გამოკეთების, ანდა შთამომავალთა უეცარი გამდიდრების ურყევი იმედი აქვს, რომლებსაც „პაპის ნაჭამი პანტა“ კბილს ვერ მოჭრის... ამ უკანასკნელთა რიცხვს, ალბათ, საქართველოს მთავრობა შეიძლება მივაკუთვნოთ, რომლებმაც 2007 წელს ნახევარი მილიარდი დოლარის გამოშვებულ ევრობონდებს წლეულს კიდევ ერთი იმდენივე მიუმატა და მომავალ ხელისუფლებსა და შთამომავლებს მილიარდიანი ვალის მომსახურება-გასტუმრების უმძიმეს ტვირთს უტოვებს.***

# მომავალი რომ არ განგვირისხდეს...

იმათ კი, ვინც ვალის აღებას, უდიდესი გაჭირვების მიუხედავად, მაინცდამაინც არ ჩქარობს, როგორც ჩანს, იაპონიის მთავრობა მიეკუთვნება. წლეულს 11 მარტს ქვეყნის ნაპირებთან ახლოს მომხდარი მიწისძვრის, რომლის კერა წყნარი ოკეანის ფსკერის ქვეშ მდებარეობდა და მის შედეგად წარმოშობილი ცუნამის შედეგად ქვეყნის ერთიანად დაზარალებული ეკონომიკის აღდგენას, საექსპერტო გათვლით, 184 მილიარდი დოლარი დასჭირდება, რის შესახებ იაპონიის ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა. მან ასევე დასძინა, რომ თანხის თავმოსაყრელად ქვეყანას შესაძლოა ობლიგაციების გამოშვება დასჭირდეს, თან დაამატა, რომ კარგად ესმის მათი, ვინც ამ ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ იაპონელებმა ფული ნაჩქარევად არ უნდა ისესხონ, რადგან აუცილებლად დასაფიქრებელია, თუ როგორ უნდა მოხდეს ვალის დაბრუნება. თავის მხრივ კი იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სტიქიის შეტევიდან მოკლე ხანშივე განაცხადა, რომ აუცილებლად საჭიროა ახალი ეკონომიკური და სოციალური ზომების გატარება, რომელთა განხორციელებისას მიწისძვრისა და ცუნამის ტრაგიკულ შედეგთა მაქსიმალურად შერბილება იქნება გათვალისწინებული.

სულ არა მაქვს სურვილი მაინცდამაინც იმას ვუკირკიტო კრიტიკოსის პოზიციიდან, თუ რა ედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას „მეორე თაობის“ ევროობლიგაციებით ქვეყნის ისედაც უმძიმესი საგარეო ვალის კიდევ უფრო მეტად დამძიმება, მაგრამ მსგავსი სოციალური თუ ეკონომიკური „შიგთავსისა“ და „გადატვირთვის“ მქონე განცხადება არც ეკონომიკის, არც ფინანსთა, არც თავად პრემიერისგან რომ არ მოგვისმენია, რაც ერთობ დასანანია.

მას შემდეგ, რაც მომხდარი კატაკლიზმის შემდეგ იაპონიამ უწინარესად მოსახლეობის კეთილდღეობაზე მიმართული ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ყოფაში სერიოზული ცვლილებების განხორციელების საფუძვლიანი გეგმები შეიმუშავა, რომელთა ფრთაშესხმა სახელმწიფოს ფეხზე სწრაფად წამოდგომის შესაძლებლობას მისცემს, ჩვენში სოციალური და საზოგადოებრივი აქტივობა ძირითადად კომუნალური და სხვა სახეობის გადასახადების გაზრდითა და ერთმანეთზე „ვირთაგვების ხელმწიფესავით“ ერთმანეთზე კუდების გადაბმით, „სტინგიზაციით“, იგლესიალიზაციით“ და სხვა „რამერუმეებით“ გამოიხატა.

ცალკე თემაა ატომურ ენერგეტიკასთან დამოკიდებულებაში წლევანდელ გაზაფხულამდე გატარებული პოლიტიკა, რაც, მეწამორის ატომური ელექტროსადგურის არსებობის პირობებში, საქართველოსთვის, ზოგადად კავკასიისთვის, უაღრესად აქტუალური თემაა, ვინაიდან დიდი და მცირე კავკასია დღესდღეობითაც მზარდი მთათა სისტემებია, აქედან გამომდინარე ყველა გეოლოგიური და გეოტექტონიკური შედეგით.

**ოთარ ტურაბელიძე**

**◉ ინფორმაცია**

## „ქრისტიან-დემოკრატები“ დამწვრობის ცენტრის თანამშრომლებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებას ითხოვენ



**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერები გუშინ დამწვრობის ცენტრში მივიდნენ და კლინიკაში შექმნილი მდგომარეობით დაინტერესდნენ. როგორც მაგდა ანიკაშვილს და გიორგი ახვლედიანს თანამშრომლებმა განუცხადეს, ცენტრი თვის ბოლოს იხურება და განყოფილება რეფერალურ საავადმყოფოში იხსნება, თუმცა უამრავი საკითხი კვლავ ბუნდოვანი რჩება.**

**— დღეს არსებული 36 საწოლიდან რეფერალურ საავადმყოფოში გათვალისწინებულია 20 საწოლი, რაც ჩვენც და ცენტრის თანამშრომლებსაც არასაკმარისად მიგვაჩნია. ამას გარდა, დღემდე გაურკვეველია რამდენი თანამშრომელი გადავა ახალ კლინიკაში და რა კრიტერიუმებით შეარჩევენ მათ. „ქრისტიან-დემოკრატები“ ვითხოვთ მაქსიმალურად მოხერხდეს ადამიანების დასაქმება, კრიტერიუმები იყოს ობიექტური და თანამშრომლებს დროულად მიეწოდოს ინფორმაცია რეფორმის ყველა დეტალთან დაკავშირებით, — განუცხადა ჟურნალისტებს მაგდა ანიკაშვილმა დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დასავლეთი და საქართველო: სიყვარულმა გაიარა — დარჩა მსუბუქი სიმპატია

**2008 წლის აგვისტოს ომმა ძლიერი დარტყმა მიაყენა მიხეილ სააკაშვილის იმიჯს. მაგრამ დასავლეთის განწყობა საქართველოს ლიდერისადმი არ გამქრალა, პირიქით, შეიცვალა სიმპათიით მთელი საქართველოს მიმართ, მიაჩნიათ გერმანელ ექსპერტებს.**

ხუთდღიანმა ომმა, რომელიც 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, გერმანელი ექსპერტების აზრით, მიადუნა დასავლეთის ერთ დროს ძლიერი სიმპათიები სააკაშვილის გუნდთან დაკავშირებით, თუმცა საქართველოს მხარდაჭერა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღიარება შენარჩუნებულია. ეს უკანასკნელი დადასტურდა ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის რეზოლუციითაც. მაგრამ წინა წლებთან შედარებით უფრო იშვიათი ვიზიტები დასავლეთის მაღალი რანგის პოლიტიკოსებისა საქართველოში და უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირება მოწმობენ დასავლეთის რამდენადმე თავშეკავებულ პოზიციაზე ამ კავკასიური რესპუბლიკისადმი.

### ეიფორიამ გაიარა, მასთან ერთად ილუზიებმაც

ბერლინის პოლიტოლოგისა და ფონდ „მეცნიერებისა და პოლიტიკის“ ექსპერტის უვე ჰალბახის სიტყვებით, ომამდე საქართველომ, რომელიც დადგა დემოკრატიის განვითარების გზაზე, და მისმა ლიდერმა შთანთქეს დასავლეთის მთელი ყურადღება, რომელიც მიპყრობილი იყო სამხრეთი კავკასიისკენ. დღეს კი რეგიონის ასეთი აღქმა წარსულს ჩაბარდა. ღირებულებათა ორიენტაციის შეცვლა მოხდა საქართველოშიც. „დღეს იქ ნაკლებად ფიქრობენ ნატოზე და უფრო მეტად იმზირებიან ევროკავშირისკენ, აგრეთვე ცდილობენ განავითარონ რეგიონალური თანამშრომლობა“, — აღნიშნავს ჰალბახი.

საქართველოს ხელისუფლებამ „ბოროტად გამოიყენა გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რუკა“, ამბობს ვალტერ კაუფმანი, ჰენრიხ ბიოლის გერმანული ფონდის ექსპერტი. „საქართველო დღემდე აღიქმება მნიშვნელოვან ქვეყნად, რომელსაც მხარი უნდა დაუჭირო, მაგრამ „მსუბუქ დემოკრატიაზე“ საუბარიც აღარ არის, — მიაჩნია კაუფმანს. — თანაც დღეს მსოფლიოს დღის წესრიგში დგას სხვა უფრო მნიშვნელოვანი კონფლიქტური ზონები“.

ექსპერტების აზრით, არასტაბილურმა და თავის განვითარებაში ურწმუნო საქართველომ მოიშორა თავიდან ნატო და ევროკავშირი, რომელთაც ისედაც თავისი ბევრი ეკონომიკური და პოლიტიკური საზრუნავი აქვთ.

ამასთან დაკავშირებით აღგილი აქვს ქვეყნის ერთგვარ იზოლაციას, ყოველ შემთხვევაში, დასავლური და რუსული მიმართულებებით, მიაჩნია კლაუს ზეგბერს, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის აღმოსავლეთი ევროპის ინსტიტუტის პოლიტოლოგიის პროფესორს.

### ამბოხებული ქართული რეგიონები – რუსეთის შემადგენლობაში: ყოფნა, არ ყოფნა?

ზაფხულის შუა პერიოდი კვლავ აღინიშნა გაცხარებული დისკუსიებით ულიარებელ დამოუკიდებელ ქართულ რეგიონებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ჯერ რუსეთის პრემიერი პუტინი, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელი კოკოითი აკეთებენ განცხადებას სამხრეთ ოსეთის რუსეთის ან რუსეთისა და ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს შემადგენლობაში შესაძლო შესვლასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არანაირი იურიდიული საფუძველი სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღებისათვის არ არსებობს. გერმანელი ექსპერტები ასევე ვერ ხედავენ წინაპირობებს მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის, მიუთითებენ, რომ რუსეთს ამ რეგიონში ისედაც ჰყოფნის პრობლემები — განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში.

კაუფმანის აზრით, ამ რესპუბლიკების ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ უკვე მოხდა, ფორმალური თვალსაზრისით კი სერიოზულად არავინაა დაინტერესებული. თავად რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელია მერყევი მდგომარეობა რეგიონში და იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს ამ რესპუბლიკების ტერტორიები თავიანთი სამხედრო ბაზებისთვის, მიაჩნია ექსპერტს.

კლაუს ზეგბერსი აღნიშნავს ნიშნებს რუსეთის მხრიდან ამ მიზნის უქონლობაში, რაც ვლინდება აქტიურობის ერთგვარ შენელებაში ულიარებელ რესპუბლიკებში. ის აგრეთვე დარწმუნებულია, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში დასავლეთის რეაქცია იქნება მშვიდი — კვლავ იმის გამო, რომ დასავლეთს დღეს კავკასიისთვის აღარ სცალია.

უვე ჰალბახი ამავე დროს დარწმუნებულია დასავლეთის ნეგატიურ რეაქციაში ამგვარ მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა, „საქართველოსთვის ამბრაზურებში“ არავინ წავა. როგორც ფონდ „მეცნიერებისა და პოლიტიკის“ ექსპერტი აღნიშნავს, ომიც კი, ქართველებისთვის დიდად სამწუხაროდ, ვერ იქცა განხეთქილების ვაშლად რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, უფრო მეტიც, „განტვირთვის“ პოლიტიკის წყალობით ეს ურთიერთობა გაუმჯობესდა კიდეც.

### პუტინის გზით

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული რუსეთისა და საქართველოს ლიდერების დამოკიდებულებაზე მოლაპარაკებასთან. როგორც ჩანს, ეს საუბარი გადადებულია გაურკვეველი დროისთვის, რუსეთის ხელმძღვანელობას ხომ არაერთგზის განუცხადებია, რომ არ აქვს განზრახული იქონიოს საქმე სააკაშვილთან. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ჩანს, არ აპირებს ხელისუფლებასთან განშორებას. ამასწინანდელი შესწორებები კონსტიტუციაში აძლიერებს პარლამენტის ხელისუფლებას, მაშასადამე, სააკაშვილიც, როდესაც დატოვებს პრეზიდენტის სავარძელს, შეიძლება კვლავაც გამოჩნდეს საქართველოს პოლიტიკურ ოლიმპზე — უკვე პარლამენტის სპიკერად ან პრემიერ-მინისტრად.

ეს ფაქტი მიუთითებს სააკაშვილისეული საქართველოს პუტინისეულ რუსეთთან კავშირზე: ორივე შემთხვევაში მთელი პოლიტიკური დისკუსი ტრიალებს იმის გარშემო, რა იპოსტასშია ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა — შეინარჩუნოს ხელისუფლება, მიაჩნია კაუფმანს. ექსპერტის აზრით, დასავლეთი სავსებით მზად არის მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის, საკონსტიტუციო ცვლილებების ეჭვქვეშ დაყენებას ის, მით უმეტეს, არ გარისკავს.

მას ეთანხმება კლაუს ზეგბერსიც. „თუ თამაში წესების დაცვით იქნება, მაშინ დასავლეთს არაფერი საპასუხო აღარ ექნება, — დარწმუნებულია გერმანელი ექსპერტი. — ეს წესები კიდეც რომ არ შეესაბამებოდეს მის გემოვნებას“.

**ამალია ოგანჯანიანი**

**DEUTSCHE WELLE**

# ქართული პიპირემბა ახალი კონფლიქტის სამიზნედ

**სამი წლის წინათ რუსეთის შეიარაღებული ძალები გაემართნენ სამხრეთისკენ, საქართველოში. ახლა საქართველო აგზავნის ჩრდილოეთში, რუსეთში თავის საინფორმაციო ძალებს.**



საქართველოს ნაციონალისტურად განწყობილი მთავრობა არ იწონებს რუსული ენის ხმარებას. მაგრამ გამონაკლისს უშვებს „კავკასიის პირველი საინფორმაციო“ არხისთვის. ეს არის ახალი არხი რუსულ ენაზე, მას აფინანსებს სახელმწიფო და მისი დანიშნულებაა შეასუსტოს მოსკოვის საინფორმაციო მონოპოლია რეგიონში.

ეკატერინე კოტრიკაძე ჟურნალისტიკას მოსკოვში სწავლობდა. ახლა იგი თავის სამშობლოში საქართველოში მაუწყებლობს რუსეთზე.

ეკატერინე კოტრიკამე ქართველი ჟურნალისტია: მისი ძირითადი იდეაა — მიაწოდოს ინფორმაცია რეგიონს, რომელიც ამჟამად საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფება.

როგორც საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ის აცხადებს, რომ ინტერნეტისა და სათანამგზავრო მაუწყებლობის წყალობით, კავკასიის პირველ საინფორმაციოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ საინფორმაციო მონოპოლიებს.

**ეკატერინე კოტრიკაძე:** ეს არის ერთადერთი რუსულენოვანი ტელეარხი, რომელიც არის თანამგზავრზე და რომელსაც ვერავინ აკონტროლებს. ჩვენ არ გაგვაჩნია ცენზურა. ჩვენთვის ეს ძალიან კარგია.

კავკასიის პირველი საინფორმაციო გაუშვეს ნახევარი წლის წინათ. ამჟამად იგი სადღეღამისო მაუწყებლობას აწარმოებს. ინგლისურ-რუსული საიტი არხისა იზიდავს დაახლოებით 50 ათას კაცს დღეში.

გენერალური დირექტორია რადიო „თავისუფალი ევროპის“ დამსახურებული მუშაკი რობერტ პარსონსი.

**რობერტ პარსონსი**, კავკასიის პირველი საინფორმაციო ტელეარხის გენერალური დირექტორი: „საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობა მის გარშემო მყოფ ხალხებთან. ინფორმაცია, რომელსაც ჩრდილოეთი კავკასიის ხალხები ღებულობენ ამ ქვეყნის შესახებ თავიანთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან, რუსეთის ფედერაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან, მთლიანად ნეგატიურია. ამიტომ ქართველები ცდილობენ დაუკავშირდნენ ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებს და განაცხადონ: განსაჯეთ თავად რეალიების საფუძველზე, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე ამ ქვეყნის შესახებ“.

მას შემდეგ, რაც ორი ათეული წლის წინათ დაიშალა საბჭოთა კავშირი, ჩეჩნები — მუსლიმანები და ქართველების ჩრდილოელი მეზობლები — მრავალგზის გაერთიანებულან საქართველოს ცენტრალური მთავრობის მოწინააღმდეგეებთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე კავკასიის პირველ საინფორმაციოს მიიჩნევს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტად, რომლის მიზანიცაა მიიტანოს თავიანთი შეხედულებანი რუსეთში თავიანთ მეზობელ ხალხებამდე.

**თორნიკე გორდაძე**, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: საქართველოს აუცილებლად სჭირდება მიაწოდოს ჩრდილოეთ კავკასიას თავისი დადებითი სახე, რათა თავიდან აიცილოს ამგვარი პრობლემები სამომავლოდ. თუ რუსეთი როდესმე კვლავ გადაწყვეტს შემოიჭრას საქართველოში, მაშინ ის კავკასიელები, რომლებსაც გამოიყენებენ ამ ავანტიურაში, ორჯერ დაფიქრდებიან, ვიდრე გაჰყვებოდნენ რუსეთის მითითებებს.

და მართალია კავკასიის პირველი საინფორმაციო ტელეარხის მიზანი არის აწარმოოს მიუკერძოებელი ახალი ამბების მიწოდება საქართველოს რუსულენოვანი მეზობლებისთვის, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ნინო ბურჯანაძე გვაფრთხილებს, რომ საქართველო სახიფათო კურსით მიდის.

**ნინო ბურჯანაძე**, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი: საქართველო — არ არის ზესახელმწიფო, რომელიც უნდა ერეოდეს სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში. და ზესახელმწიფოებიც ასეთ რამეს არ უნდა აკეთებდნენ. მაგრამ ამჟამინდელ ვითარებაში ეს მართლაც პროვოკაციული ნაბიჯია.

მაგრამ ჯერჯერობით რუსეთი კავკასიის პირველ საინფორმაციო არხს უთმობს ადგილს მაგიდასთან. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის ორ ჟურნალისტთან ერთად მიიწვია კოტრიკამე ერთსაათიან ინტერვიუზე, რომელიც მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამი წლისთავს.

**ჯეიმს ბრუკი,**

VOANews.com

## დედამიწის ზურგზე



**ჰოლანდიელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ტყვიაგაუმტარი კანი**

მათ ჯერ გამოიყვანეს თხის განსაკუთრებული ჯიში, შემდეგ კი მისი რძის საფუძველზე — იმავე ცილის შემცვლელი სახეობა, რაც აქვთ აბრეშუმის ჭიებს. შეიქმნას მასალა, რომელიც ათჯერ უფრო მყარია ფოლადზე. ახლა სპეციალისტები მუშაობენ მისი შეზრდისთვის ადამიანის კანში.

* * *

**ზვიგენმა დაგლიჯა ტურისტი სეიშენის კუნძულებზე, სადაც ცოლთან ერთად პრინცი ულიამიც ისვენებდა.**



ეს 2 აგვისტოს შემდეგ ზვიგენის მეორე თავდასხმაა ადამიანზე დედამიწის ამ რეგიონში. ამჯერად ორი მეტრის ზვიგენი თავს დაესხა 30 წლის ბრიტანელს, რომელიც ნაპირიდან ოც მეტრში ცურავდა. მან ფეხების სერიოზული დაზიანება მიიღო, მაგრამ გარდაიცვალა ადგილზე სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვის გამო.

* * *

**იაპონიაში ნანგრევების ზონაში აღმოაჩინეს 5,7 ათასი სეიფი. 32 მილიონი დოლარი მფლობელებს დაუბრუნდა**



ამას გარდა, უბედურების ზონაში პოლიციამ და სამოქალაქო მოსახლეობამ აღმოაჩინა ქისების, ჩანთებისა და საფულეების უდიდესი ოდენობა, საიდანაც ამოიღეს მთლიანად 17,5 მილიონი დოლარის ოდენობის იენი. აღინიშნა მიტოვებული ქონების ქურდობაც.

* * *

**ობამამ აშშ-ს უშიშროების მთავარი საფრთხე დაასახელა – იგი ერთი კაციდან მოდის**

„ძირითად შეშფოთებას ამჟამად იწვევს არა მასშტაბური ტერორისტული აქცია, თუმცა მისი განხორციელების რისკი შენარჩუნებულია, არამედ დამოუკიდებლად მოქმედი ტერორისტის მოქმედებანი, რომელსაც ერთადერთი იარაღის საშუალებით შეუძლია მოაწყოს ხოცვა-ჟლეტა, როგორც ეს მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ ნორვეგიაში“, — განაცხადა სი-ენ-ენისთვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.



1937 წლის გამოცანის ამოხსნა

სტალინის ყველა აზრი და საქმე, დაწერილი და განხორციელებული, განმსჭვალულია თანმიმდევრული, მარქსისტულ-ლენინური იდეებით. ვერც ერთ პრინციპულ შეცდომას ვერ აღმოაჩენ ამ გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის შრომებში. მისი საქმეები შეესაბამებოდა პროლეტარიატის, მშრომელი მასების, რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ინტერესებს. თავის თეორიულ და პოლიტიკურ აზრებში ის იყო ეკლექტიკოსი, ვერ იტანდა რყევებს თავის პრაქტიკულ მოქმედებებში. ვინც სტალინს გულწრფელად მეგობრობდა, დარწმუნებული იყო თავის წინსვლაში, თავისი ხალხის ბედნიერი მომავლისკენ წინსვლაში. ის კი, ვინც ცბიერობდა, ვერ გამოეპარებოდა მის მახვილ მზერასა და მწვავე განსჯას. მისი განსჯა გამოკვეთილი იყო მის მახვილ გონებასა და წმინდა სულში. მან შეძლო მთელი ცხოვრების მანძილზე, მტრული ქარიშხლებისა და გრიგალების პერიოდშიც კი, მყარად და სწორად წარემართა სოციალიზმის საჭე.

სტალინმა იცოდა, როდის და როგორი ზომით უნდა წასულიყო კომპრომისზე, რომ ამას მოეტანა სარგებელი რევოლუციისთვის, სოციალიზმისთვის, საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობარი ქვეყნებისთვის.

პროლეტარიატი, მარქსისტულ-ლენინური პარტიები, ჭეშმარიტი კომუნისტები და ყველა პროგრესული ადამიანი მსოფლიოში ბოლშევიკური პარტიისა და სტალინის მოქმედებას ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობისა და სახელმწიფოს დასაცავად მიიჩნევდნენ სწორად, გონივრულად და საჭიროდ. სტალინის საქმეს იწონებდნენ მსოფლიო პროლეტარიატი და მსოფლიოს ხალხები, ვინაიდან მათ ესმოდათ, რომ ის იბრძოდა ტანჯვისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რომლებიც მათ თავიანთ თავზე გამოცადეს. ცილისმწამებლურ აზრს სტალინზე ხალხი ისმენდა სწორედ მტარვალებისგან, ვინც აწყობდა წამებასა და მასობრივ განადგურებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ვინც იყო დამნაშავე შიმშილის, სიღარიბის, უმუშევრობისა და ურიცხვი გაჭირვების მოწყობაში. ამიტომ არ სჯეროდათ მათი აზრებისა.

* * *

იმ დროს, როდესაც სუსტდებოდა მსოფლიო კაპიტალიზმი, საბჭოთა კავშირში სოციალიზმი, როგორც მომავლის ახალი წყობილება, ზეიმობდა. ამ პირობებში კაპიტალიზმს უწევდა გამოეყენებინა აბსოლუტურად ყველა საშუალება, რათა მომაკვდინებელი დარტყმა მიეყენებინა პროლეტარიატის დიდი სოციალისტური სახელმწიფოსთვის, რომელიც მსოფლიოს უჩვენებდა ექსპლუატაციისგან ხსნის გზას. ამიტომ მოამზადეს და დაიწყეს კაპიტალისტებმა მეორე მსოფლიო ომი. მათ აღადგინეს, მხარი დაუჭირეს, შეაიარაღეს ჰიტლერელები და წააქეზეს ისინი „ბოლშევიზმზე“, საბჭოთა კავშირზე, შთააგონეს ისინი ბრძოლისთვის აღმოსავლეთში „სასიცოცხლო სივრცის“ ოცნების აღსასრულებლად. საბჭოთა კავშირმა შეიცნო მომავალი საფრთხე. სტალინი იყო ფხიზლად, მან შესანიშნავად იცოდა, რომ ცილისწამება, რასაც მის წინააღმდეგ იგონებდა საერთაშორისო კაპიტალისტური ბურჟუაზია, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს ის არ იბრძოდა მზარდი ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ, იყო ამ ბურჟუაზიისა და ჰიტლერული „მეხუთე კოლონის“ ჩვეულებრივი ჭორები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუებას და მათი ჩანაფიქრის განხორციელებას – საბჭოთა კავშირზე თავდასხმას.

კომინტერნის მეშვიდე კონგრესმა 1935 წელს იმ დროის კონკრეტულ პირობებში სამართლიანად უწოდა ფაშიზმს ხალხთა უდიდესი მტერი. ამ კონგრესმა სტალინის პირადი ინიციატივით წამოაყენა ლოზუნგი საერთო ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის შესახებ, რომელიც უნდა შექმნილიყო ყოველ ქვეყანაში ფაშისტური ქვეყნების აგრესიული და დამპყრობლური გეგმებისა და საქმიანობის გამოაშკარავებისა და ამ საქმიანობის წინააღმდეგ ხალხთა ფეხზე დაყენების მიზნით, რათა თავიდან აეცილებინათ ახალი იმპერიალისტური ომი.

არასოდეს, არც ერთ სიტუაციაში არ ივიწყებდა სტალინი იმ საფრთხის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირს ემუქრებოდა. ის ყოველთვის აწარმოებდა გაბედულ ბრძოლას და იძლეოდა ზუსტ მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოწრთობილიყო პარტია მომავალი ომებისა და ბრძოლებისათვის, როგორ შეეკავშირებინათ საბჭოთა კავშირის ხალხები ფოლადის სიმტკიცით, როგორ განემტკიცებინათ საბჭოთა ეკონომიკა სოციალისტური გზით, როგორ გაემყარებინათ საბჭოთა კავშირის თავდაცვა მატერიალური სახსრებითა და კადრებით, შეეიარაღებინათ იგი რევოლუციური სტრატეგიითა და რევოლუციური ტაქტიკით. სტალინის სიტყვას აფასებდნენ, როგორც ოქროს, ის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი გახდა მსოფლიოს პროლეტარებისა და ხალხებისთვის.

სტალინმა დასავლეთ ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობებს შესთავაზა შეექმნათ კავშირი ჰიტლერული ჭირის წინააღმდეგ, მაგრამ ამ მთავრობებმა უარყვეს ეს წინადადება. უფრო მეტიც, მათ საბჭოთა კავშირთან ადრე გაფორმებული კავშირებიც კი დაარღვიეს, ვინაიდან იმედი ჰქონდათ, რომ ჰიტლერელები შეძლებდნენ გაენადგურებინათ „ბოლშევიზმის თესლი“, რომ ჰიტლერელები მათ დიდ სარგებელს მოუტანენ.

# ენვერ ხოჯა

# ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა



იოსებ სტალინი და ენვერ ხოჯა

ამ სერიოზულ ვითარებაში, რაც იმუქრებოდა დიდი ხიფათებით, როდესაც დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ შეძლო დაერწმუნებინა ეგრეთ წოდებული დასავლური დემოკრატიის მმართველები შეექმნათ ერთობლივი ანტიფაშისტური კავშირი, სტალინმა მიზანშეწონილად მიიჩნია მიეღწია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გადადებისთვის, რათა მოეგო დრო თავდაცვის შემდგომი განმტკიცების მიზნით. ამ მიზნით მოაწერა მან ხელი პაქტს გერმანიასთან თავდაუსხმელობის შესახებ. ეს პაქტი უნდა გამხდარიყო „მოდუს ვივენდი“ ხიფათის დროებითი თავიდან აცილებისთვის, ვინაიდან სტალინი ხედავდა ჰიტლერელთა აგრესიულობას, ამიტომ მოემზადა კიდეც მის მოსაგერიებლად.

* * *

ბევრი ბურჟუაზიული და რევიზიონისტი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ამტკიცებს და წერს, თითქოს ჰიტლერულმა აგრესიამ მოუმზადებელი „გამოიჭირა“ საბჭოთა კავშირი, და ამაში ბრალს სდებენ სტალინს! ამ დროს ფაქტები უარყოფენ ამ ცილისწამებას. ცნობილია, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ, რომელიც აგრესიული სახელმწიფო იყო, დაარღვია თავდაუსხმელობის პაქტი, სრულიად ვერაგულად და მეკობრულად გამოიყენა სტრატეგიული მოულოდნელობა და თავისი და თავისი მოკავშირეების უზარმაზარი ძალის (დაახლოებით 200 დივიზიაძ უპირატესობა და თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჰიტლერის გეგმით, „ელვისებური ომით“ საბჭოთა კავშირი უნდა განადგურებულიყო და დამარცხებულიყო სულ ცოტა ორ თვეში!

მაგრამ თუ რა მოხდა სინამდვილეში – ცნობილია. „ელვისებური ომი“, რომელსაც წარმატებები ჰქონდა დასავლეთ ევროპაში, ჩაიშალა. წითელმა არმიამ, რომელსაც ჰქონდა მეტად მაგარი ზურგი, იყენებდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხარდაჭერას, თავისი უკან დახევის დროს სისხლისგან დაცალა მტრის ძალები და მიაჯაჭვა ისინი ერთ ადგილზე, შემდეგ გადავიდა კონტრშეტევაზე და რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმით სძლია მათ, აიძულა ჰიტლერული გერმანია მიეღო უსიტყვო კაპიტულაცია. ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერა საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეში, საერთოდ ფაშიზმის განადგურებაში მეორე მსოფლიო ომში.

როგორ შეიძლებოდა ჩაშლილიყო გერმანიის ეს „ელვისებური ომი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და როგორ შეძლო ამ უკანასკნელმა შეესრულებინა ასეთი დიდი როლი ფაშისტური მონობისგან კაცობრიობის გადარჩენაში თავდაცვისთვის ყოველმხრივი წინასწარი მომზადების გარეშე, სოციალისტური სისტემის რკინის ძალისა და სოციალისტური სისტემის ფოლადისებური სიცოცხლისუნარიანობის გარეშე, რომელმაც გაუძლო ყველაზე მკაცრ და ყველაზე დიდ გამოცდას მეორე მსოფლიო ომში? როგორ შეიძლება დააშორო ეს გამარჯვებები სტალინის განსაკუთრებულ როლს, როგორც ქვეყნის მომზადებაში იმპერიალისტური აგრესიის მოსაგერიებლად, ისე ჰიტლერული გერმანიის განადგურებასა და ისტორიულ გამარჯვებაში ფაშიზმზე? ხრუშჩოველი რევიზიონისტების ყველა მცდელობა ჩამოაშორონ სტალინი პარტიასა და საბჭოთა ხალხს სოციალისტური სახელმწიფოს გადამწყვეტ როლთან დაკავშირებით. ამ გამარჯვების მიღწევაში – ცამტვერდება ისტორიულ სინამდვილეში, რომელიც არანაირ ძალას არ შეუძლია არა თუ წაშალოს, არამედ თუნდაც სადავო გახადოს ან ჩრდილი მიაყენოს მას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლამ სტალინის ხელმძღვანელობით მიგვიყვანა მთელი რიგი ქვეყნებისა და ხალხების ნაცისტური მონობისგან განთავისუფლებასთან, ხელი შეუწყო სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებას აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ბრძოლის ამაღლება, რითაც ხელი შეუწყო კოლონიური სისტემის დაშლას, მსოფლიოში ძალთა ახალ შეფარდებას სოციალიზმისა და რევოლუციის სასარგებლოდ.

ხრუშჩოვმა სინდისის ქენჯნის გარეშე უწოდა სტალინს „თავის თავში ჩაკეტილი“ კაცი, რომელიც თითქოს ვერ ერკვეოდა საქმის ვითარებაში საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში, კაცი, რომელმაც არ იცოდა, სად იყო დისლოცირებული წითელი არმიის გაერთიანებანი და თითქოს იგი მათ მართავდა მხოლოდ სასკოლო გლობუსით!

ამ დროს სტალინის უდავო დამსახურება იძულებული იყვნენ ეღიარებინათ მსოფლიო კაპიტალიზმის ისეთ ლიდერებსაც კი, როგორებიც არიან ჩერჩილი, რუზველტი, ტრუმენი, იდენი, მონტგომერი, ჰოპკინსი და სხვები, თუმცა ისინი არ მალავდნენ თავიანთ მტრობას მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკისადმი და იდეოლოგიისადმი, როგორც თავად სტალინისადმი. მე წავიკითხე მათი მოგონებები და ვნახე, რომ კაპიტალიზმის ეს ლიდერები პატივისცემით მოიხსენიებენ სტალინს, როგორც სახელმწიფო მოღვაწესა და მხედართმთავარს, ისინი მას უწოდებენ დიდ ადამიანს, რომელსაც აქვს „გასაოცარი სტრატეგიული ალღო“, „ჯერ არნახული უნარი სწრაფად ამოიცნოს პრობლემები“. ჩერჩილი სტალინზე ამბობდა: „... მე პატივს ვცემ ამ დიდ და გამოჩენილ ადამიანს... მსოფლიოში ძალიან ცოტა ხალხს თუ შეეძლო რამდენიმე წუთში ჩასწვდომოდა საკითხებს, რომლებზეც ჩვენ თვეებს ვკარგავდით. ის ყველაფერს ერთ წამში ხვდებოდა“.

ხრუშჩოველები ცდილობდნენ შეექმნათ ილუზია იმის შესახებ, თითქოს არა სტალინი, არამედ, შეხედეთ, თავად ისინი ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს ნაციზმის წინააღმდეგ!

ამ დროს ყველასათვის არის ცნობილი, რომ ისინი შეყუჟული იყვნენ სტალინის ჩრდილქვეშ, უმღეროდნენ მას პირფერულ ჰიმნებს, აცხადებდნენ: „ყველა ჩვენს გამარჯვებასა და წარმატებას ჩვენ ვუმადლით დიდ სტალინს“ და ასე შემდეგ, იმ დროს, როდესაც ისინი ემზადებოდნენ ამ გამარჯვებათა ჩაშლისთვის. ამგვარ ჰიმნებს გულით მღეროდნენ სახელოვანი საბჭოთა მეომრები, რომლებიც სტალინის სახელით მკერდით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს ისტორიულ ბრძოლებში.

* * *

მიუხედავად საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მტრების ფარული და აშკარა მცდელობისა დაენერგათ სოციალიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დიდ საერთაშორისო პრობლემებს ტონს აძლევდა სწორედ სტალინური პოლიტიკის სისწორე. საბჭოების ქვეყანა, ფერფლად ქცეული ომისგან, რომელმაც ბრძოლის ველზე 20 მილიონი კაცი დაკარგა, აღდგა გასაოცარი სისწრაფით. ეს უზარმაზარი შრომა გასწია საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

სტალინი ნამდვილი ინტერნაციონალისტი იყო. ის გულდასმით ითვალისწინებდა საბჭოთა სახელმწიფოს იმ თავისებურებას, რომ იგი ჩამოყალიბდა ბევრი რესპუბლიკის გაერთიანების შემდეგ, რომლებიც მრავალი ხალხისგან შედგება, ამიტომ ამ რესპუბლიკების სახელმწიფო წყობილება მან სრულყო, დაიცვა თანასწორუფლებიანობა მათ შორის. თავის სწორ პოლიტიკაში ეროვნულ საკითხში სტალინმა შეძლო გამოეკვეთა და გამოეწრთო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სხვადასხვა ხალხთა საბრძოლო გაერთიანება. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ყოფნის დროს მან ხელი შეუწყო „ხალხთა საპატიმროს“, როგორიც იყო ძველი მეფის რუსეთი, თავისუფალ, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გარდაქმნას, სადაც ყველა ხალხი და რესპუბლიკა ცხოვრობდა თანხმობით, მეგობრობით და თანაბარუფლებიანობის პირობებში.

სტალინი იცნობდა ერებს და მათს ისტორიულ ჩამოყალიბებას, ის იცნობდა თითოეული ხალხის კულტურისა და ფსიქოლოგიის სხვადასხვა თავისებურებას და მათ ათვითცნობიერებდა თავისი პრიზმით.

იოსებ სტალინის ინტერნაციონალიზმი აშკარად გამოვლინდა სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის აგებულ ურთიერთობებშიც, რომლებიც მას მიაჩნდა თავისუფალ, დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნებად, საბჭოთა კავშირის ახლო მოკავშირეებად. მას არასოდეს წარმოედგინა ეს სახელმწიფოები, როგორც სახელმწიფოები, რომლებიც დამოკიდებულ იქნებოდნენ საბჭოთა კავშირზე პოლიტიკურად ან ეკონომიკურად. ეს იყო სწორი, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა, რომელსაც სტალინი ახორციელებდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 150

(გაგრძელება იქნება)

კალათბურთი



# მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერი გვინდა!

**საქართველოსა და ისრაელის ეროვნული ნაკრები გუნდები ორ კვირაში ლატვიურ ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან.**

ბუნებრივია, მომავალი ფორუმისთვის ისინი გულმოდგინედ ემზადებიან, მაგრამ კოჭებსაც უფრთხილდებიან, რის გამოც ვერავინ გაამტყუნებს.

ეს თბილისში გამართულმა ამხანაგურმა შეხვედრამ გვაფიქრებინა, რომელშიც მეტოქეთა შედეგიანი თამაში დაცვაში „ხალტურამ" გააფერმკრთალა, თუმცა, მოდით, ამჯერად თავი შევიკავოთ მკაცრი შეფასებისგან – მთავარი ბრძოლები ხომ წინაა.

**საქართველო – ისრაელი 97:91**

**ყველაზე შედეგიანები:** ფაჩულია – 18, სანიკიძე – 15, ვლადიმერ ბოისა – 14, მარკოიშვილი – 13, ცქიტიშვილი, შენგელია – 10-10 ქულა (საქართველოძ. პნინი – 26, ბლუ, ბერშტეინი, ელიაჰუ – 14-14, მაკეჰი – 10 ქულა (ისრაელიძ.

დავძენთ, რომ მასპინძლებმა ღირსეული რევანში აიღეს ებრაელებთან რამდენიმე დღის წინათ ჰოლანდიაში მარცხისათვის და ქომაგებს ოპტიმიზმი გაუღვივეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩემპიონთა გალერეა

# „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა"...

**დავით ციმაკურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, მზია ჯუღელი, რობერტ შავლაყაძე, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია...**

ისინი და კიდევ მრავალი ჩვენი ღირსეული თანამემამულე სპორტული სამყაროს იმ თანავარსკვლავედს ამშვენებენ, ოლიმპიური ჩემპიონის დიდების შარავანდედი რომ ადგათ თავზე.

სწორედ მათ, მარადიულ ჩემპიონებს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთაგან განსხვავებით პრეფიქსი ექსი რომ არასდროს დაემატებათ, ეძღვნება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ რუდუნებით გამოცემული მონოგრაფიების სერია **(პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი – ელგუჯა ბერიშვილი, მენეჯერი – ემზარ ზენაიშვილი, კოორდინატორი – რუსუდან აფციაური, ტექსტი – დავით ჭელიძე, დიზაინი – ვახტანგ შატაიძე, რედაქცია – ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე, კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე, ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე, ფოტო – მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე, იური სომოვი, ალექსანდრე კოტორაშვილი, პარტნიორები – ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა და სპორტის სხვადასხვა სახეობათა ეროვნული ფედერაციებიძ.**

ის, ვინც ამ ტიტანური შრომის შედეგად შექმნილ კრებულებს გადაფურცლავს, უამრავ საინტერესოს შეიტყობს საამაყო მამულიშვილთა სპორტული, საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების შესახებ.

გაგრძელება იქნება...

**გიორგი შოთაძე**




ახალი კაცი

# რეგიონებს – მეტი ყურადღება

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ძიუდოს ფედერაციის რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა, რომელზეც 59 დელეგატმა ერთადერთი კანდიდატი გიორგი ალექსიძე პრეზიდენტად ერთხმად აირჩია.**



არჩევნებზევე დამტკიცდნენ ახალი ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებად დამტკიცდნენ შოთა ხაბარელი, დავით ხახალეიშვილი, სოსო ლიპარტელიანი და თამაზ ნავერიანი. ფედერაციის გენერალურ მდივნობას ვლადიმერ ნუცუბიძე გასწევს, აღმასრულებელი მდივანი კი ფირუზ მარტყოფლიშვილი იქნება.

**გიორგი ალექსიძე:** დიდი მადლობა დელეგატებს მხარდაჭერისთვის და ნდობის გამოცხადებისთვის. მათ მოკლედ გავაცანი ჩემი პროგრამა, რომელზეც ერთობლივად ვიმუშავებთ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდება როგორც ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში, აგრეთვე სხვადასხვა მიმართულებებზე - რეგიონებს მეტი ყურადღება მიექცევათ, მედიცინა და მწვრთნელთა გადამზადება კი მნიშვნელოვანი პრიორიტეტები იქნება".

**ლადო ვარძელაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:** „ძიუდოს ფედერაციაში ახალი გუნდი მოვიდა, რომელიც მშვიდ ვითარებაში იმუშავებს. მოგვარდება ყველა ის პრობლემა, რაც აქამდე ფედერაციაში არსებობდა. დაისახება ახალი სტრატეგია და განისაზღვრება შესაბამისი პრიორიტეტები. ერთ წელიწადში ლონდონის ოლიმპიური თამაშებია, ძიუდო კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა, ამიტომ აუცილებელია, რომ შესაბამისი სამუშაოები ჩატარდეს და ქართველმა ძიუდოისტებმა ლონდონში წარმატება მოგვიტანონ".



ფეხბურთი

# ლიგის კანონებით



**ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში „არსენალ"-„უდინეზეს" წყვილი სამართლიანად მოინათლა ცენტრალურად.**

მათმა პირველმა მატჩმა დაადასტურა, რომ ასეთი პროგნოზი საფუძვლიანი ყოფილა – მძაფრ ბრძოლაში „მეთოფეებმა" მინიმალური უპირატესობით კი გაიმარჯვეს – 1:0 (უოლკოტიძ, მაგრამ ძნელი სათქმელია, საპასუხო შეხვედრის შემდეგ რომელი მოიპოვებს ჯგუფურ რაუნდში თამაშის უფლებას.

აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა თავკაცი არსენ ვენგერი შარშანდელი სეზონიდან გადმოყოლილი დისკვალიფიკაციის გამო სარბიელზე განვითარებულ მოვლენებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, ხოლო ორივე მეტოქეს „ბარსელონაში" გადასულ ლიდერთა არყოფნა ეტყობოდა.

შეგახსენებთ, რომ კატალონიაში ფაბრეგასი „არსენალიდან" გადაბარგდა, სანჩესი კი – „უდინეზედან".

**დანარჩენი შედეგები:** „ტვენტე" – „ბენფიკა" 2:2, „ლიონი" – „რუბინი" 3:1, ბატე – „შტურმი" 1:1, კოპენჰაგენი" – „პლზენი" 1:3.

**მანუჩარ გიორგაძე**



ინტერნეტიდან

# ფიფაში არ მიიღეს

**თავის რიგებში მიღებაზე ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციამ უარი უთხრა ზანზიბარს. ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებას ფიფა იმით ხსნის, რომ ზანზიბარს საკმაო სუვერენიტეტი არა აქვს. 1965 წლიდან ზანზიბარი (არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეშიძ შედის ტანზანიის გაერთიანებულ რესპუბლიკაში.**

ზანზიბარის ფეხბურთის ასოციაციის (ZFAძ წარმომადგენლები შარშან ხვდებოდნენ ფიფას წევრებს, თუმცა ფიფაში მიღებაზე უარის წერილი, რომელსაც ხელს აწერს ფიფას გენერალური მდივანი ჟერომ ვალკე, ჯერ კიდევ ივნისში მიიღეს, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ახლა გამჟღავნდა.

2002 წელს ZFA გავიდა ტანზანიის ფეხბურთის ფედერაციიდან, მიიჩნია რა, რომ ის ავიწროებს მის ინტერესებს.

2005 წლიდან ზანზიბარს აქვს თავისი დროშა, ჰყავს პარლამენტი და პრეზიდენტი.

მილოცავთ, კოლეგა!

# ჟურნალისტიკის მუშახარი



**დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს კოლეგა-თანამშრომელს ვლადიმერ (ვალიკო) სიმონიშვილს. ის დღეს ოთხმოცი წლის გახდა.**

შრომითი საქმიანობა დაიწყო 55 წლის წინათ, როდესაც სიღნაღის ვაჟთა სკოლის ოქროს მედალოსანს და უმაღლესი სასწავლებლის „წითელი დიპლომით“ კურსდამთავრებულს ნიშნავენ, როგორც ახლა უწოდებენ, სიღნაღის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მან ახალი სიცოცხლე შთაბერა რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის საქმიანობას. ბავშვებს, მოზარდებს ნამდვილად მიუხაროდათ თავიანთი სასახლისკენ, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა საქართველოში ჩამოსულ ფრანგ მკვლევარ-ეთნოგრაფს ჟილბერ ბლოკს, რაც აისახა კიდეც ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნებულ მის ქართულ შთაბეჭდილებებში.

მოგვიანებით ვალიკო სიმონიშვილი სწავლას აგრძელებს საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში და პარალელურად თანამშრომლობს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ასპირანტურაში სწავლის დროსვე გაზეთ „სახალხო განათლების“ მაშინდელი რედაქტორის გრიგოლ საჯაიას მიწვევით ის დაინიშნა იმავე გაზეთის უმაღლესი სკოლისა და განათლების ხელმძღვანელი ორგანოების განყოფილების გამგედ. შემდეგ იყო ამავე გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი და სასკოლო განყოფილების გამგე.

„სახალხო განათლებაში“ მოღვაწეობის პერიოდში ვალიკო სიმონიშვილი გულმოდგინედ სწავლობდა საქართველოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას და როგორც მიღწევას, ისე ნაკლს სისტემატურად აშუქებდა გაზეთის ფურცლებზე. მისი კრიტიკული წერილები და კორესპონდენციები არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი თუ ზემდგომი ორგანოების მსჯელობისა და პრაქტიკული დასკვნების გამოტანის საგანი.

ვალიკო სიმონიშვილმა 22 წელი იმუშავა „სახალხო განათლების“ რედაქციაში და კარგი ჟურნალისტისა და შემოქმედის სახელიც დატოვა. სწორედ იმ პერიოდში ქართულ პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დააჯილდოვეს ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი – რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, ხოლო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის – სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით. იუბილარი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრია 1964 წლიდან.

1983 წელს ვალიკო სიმონიშვილი სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტში ინსპექტორად და ამ უწყების საჯაროობის უზრუნველყოფას ავალებენ. ის ამზადებდა მასალებს პრესისთვის და ხელმძღვანელობდა გაზეთების „კომუნისტის“, „სოფლის ცხოვრების“ და „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე სახალხო კონტროლის სპეციალური გვერდების გამოშვებას, რადიოსა და ტელევიზიაში კონტროლის ამსახველი მასალების გადაცემას.

მომდევნო წლებში ვალიკო სიმონიშვილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს ახლადშექმნილი გაზეთის „რესპუბლიკის“ (რედაქტორი ჯემალ ნინუაძ, პასუხისმგებელი მდივანია. 1989 წლიდან აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა ჯერ გაზეთ „კომუნისტში“, შემდეგ კი „საქართველოს რესპუბლიკაში“. ბოლო ხანებში თარგმნა რამდენიმე პოლიტიკურ-დეტექტიური რომანი, მათ შორის ჩინგიზ აბდულაევის „სისხლის სამი ფერი“, რომელიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ვალიკო სიმონიშვილის ხანგრძლივი ჟურნალისტური მუშაობა აღინიშნა „შრომის ვეტერანის“ და „ღირსების“ მედლებით.

ერთხელ კიდევ ვულოცავთ ვალიკო სიმონიშვილს 80 წლისთავს, დღეგრძელობას, სიხარულს, მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას კოლეგას და კალამდაუღლელ მეგობარს.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

# საქართველო

## ქ. თბილისის კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროექტისთვის დაფინანსება

## გრანტი TF098647

## საკონსულტაციო მომსახურება

### ქ. თბილისის მერიისათვის CIP მეთოდოლოგიის შემუშავება, პოლიტიკასთან და პროცედურებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა

**თბილისის მერიამ მიიღო დაფინანსება (გრანტიძ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისაგან, ქალაქ თბილისის კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროექტისთვის (გრანტი TF098647ძ და თანახმაა განსაზღვრული ფულადი სახსრები მიმართოს CIP მეთოდოლოგიის შემუშავებასა, პოლიტიკასა და პროცედურებთან დაკავშირებით ინდივიდუალური კონსულტანტის მომსახურების ასანაზღაურებლად.**

**ქალაქ თბილისის მერია იწვევს დაინტერესებულ კვალიფიციურ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევის მიზნით. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია (გაწეული მსგავსი მომსახურების აღწერა, ასევე კონსულტანტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილებაძ. მომსახურების გაწევისათვის კონსულტანტი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სამუშაოები:**

● შეაფასოს და გააანალიზოს ქალაქის მერიის ამჟამინდელი ფინანსური სტატუსი, კერძოდ:

● შეისწავლოს არსებული ბიუჯეტირების პროცესი, ქალაქის ხარჯებისა და ხარჯვის მაკონტროლირებელი მექანიზმების ჩათვლით;

● განისაზღვროს უწყობს თუ არა არსებული პროგრამული უზრუნველყოფა ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ხარჯების კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას და მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები ეფექტური ბიუჯეტირებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის შესამუშავებლად.

● შესთავაზოს 2-3 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECDძ წევრი მუნიციპალიტეტი, რომლებსაც გააჩნიათ კაპიტალური ინვესტიციებითა და ბიუჯეტირების წარმატებული სისტემა და რომლებიც წარმოადგენენ თბილისისათვის შესაბამის მაგალითს.

● შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა და ორგანიზებულ იქნას შემსწავლელი ტური აღნიშნულ OECD მუნიციპალიტეტებში.

● შეიმუშავოს და წარუდგინოს ქალაქის მენეჯმენტს პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგია, განსაკუთრებული აქცენტით კაპიტალურ ინვესტიციებზე, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებული იქნება თბილისის მერიის სპეციფიკურ საჭიროებებზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებაზე და შესაბამისი პრინციპებისა და ფორმების შემუშავებაზე.

● დაეხმაროს თბილისის მერიას მიიღოს კვალიფიციური გადაწყვეტილება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის საჭირო პარამეტრების განსაზღვრაში.

● დაეხმაროს თბილისის მერიას ქალაქის განვითარების სტრატეგიასა და საინვესტიციო კაპიტალურ დაგეგმარებას შორის კოორდინაციაში.

● შეიმუშაოვის ტექნიკური დავალება (ToRძ, საერთაშორისო ექსპერტისთვის, რომელიც შემდეგში ჩართული იქნება იმ პერსონალის მომზადებაში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საინვესტიციო კაპიტალურ დაგეგმარებაზე, ბიუჯეტირებასა და მონიტორინგზე.

● შეიმუშავოს ToR საერთაშორისო ექსპერტისთვის, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებაზე და პროექტის გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციების მომზადებაზე.

● შეიმუშავოს ToR საერთაშორისო ექსპერტისთვის, რომელიც ვებ-გვერდის კონცეპტუალურ ასპექტების შემუშავების გზით იმუშავებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე თბილისის მერიასთან ერთად.

ინდივიდუალური კონსულტანტი შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების V სექციის („ინდივიდუალურ კონსულტანტთა შერჩევა“ძ შესაბამისად: მსოფლიო ბანკის მოვალეთა მიერ კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება (2011 წლის იანვარიძ.

**მომსახურების გაწევის ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:** უპირატესობა მიენიჭება ისეთ ინდივიდუალურ კონსულტანტს,

**რომელსაც გააჩნია:**

● მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში ან შესაბამის სოციალურ მეცნიერებებში.

● არანაკლებ 10-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება საჯარო რესურსების მართვაში, განსაკუთრებით ბიუჯეტირებაში.

● გამოცდილება და ღრმა ცოდნა პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტირების სფეროში, საერთაშორისო გამოცდილებით. სასურველია ყოფილი სსრკ-ს ან ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება .

● ტრენინგების ჩატარების გამოცდილება და კარგი კავშირები OECD მუნიციპალიტეტებთან, რომლებსაც გააჩნიათ წარმატებული გამოცდილებები პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტირებაში.

● გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე მუშაობაში.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა გამოაგზავნონ CV და დამატებითი ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე economic@tbilisi.gov.ge ან წარმოადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2011 წლის 12 სექტემბრის 17 საათისა.**

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:**

**თამარ ფრანგიშვილი, ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის თანაშემწე**

**ქალაქ თბილისის მერია**
**ჟ. შარტავას №7, მე-6 სართული**
**თბილისი, საქართველო, 0160**

**ტელ: +995 32 2 37 81 28, შიდა: 128**
**ფაქსი: +995 32 2 37 82 25**

## განცხადება

**სოფელ პატარძეულში ფუნქციონირებს აგურის ქარხანა. მის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია პატარძეულში („უსტიაშვილების“ უბანიძ.**

**მოსაზრების და შენიშვნების წარდგენის ვადაა 45 დღე განცხადების გამოქვეყნებიდან. მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს 12 საათზე, პატარძეულში, უსტიაშვილების უბანში შედგება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

დირექცია

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თანაუგრძნობს თემურ შაშიაშვილს დედის ქალბატონ**

**შუშანა სალდაძე-შაშიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

ინფორმაცია

## მოტონავით ცურვის წესების დამრღვევი 300 ლარით დაჯარიმდა

**შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააჯარიმეს, რომელმაც მოტონავით საქართველოს საზღვაო წყლებში ცურვის წესები დაარღვია.**

**ჯიმშერ მეგრელიძეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114 (პრიმა 2) მუხლის VI ნაწილის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით.**

ჯი-ეიჩ-ენი

## მძღოლი და გზა

**ბოლო წლებში ავტომანქანების რიცხვი კატასტროფული სისწრაფით იზრდება, მანქანის მართვა კი ერთობ სახიფათო და დამქანცველ საქმედ გადაიქცა. ამიტომ საკუთარი ნერვული სისტემის მოსაფრთხილებლად, თავიდან ზედმეტი სტრესებისა და, მით უმეტეს, ავტოსაგზაო შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, ფსიქოთერაპევტის რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.**

# სულელს გზა აუცილებლად უნდა დაუთმოთ!



**რჩევა № 1**

**თავდაპირველად, გულში გადაწყვიტეთ:** მე ვიცავ წესებს მაშინაც კი, როცა მას სხვები არღვევენ. გახსოვდეთ, ეს უკანასკნელნი მაინც უმცირესობაში არიან, სხვაგვარად მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, ზედმეტ აზარტს ნუ აყვებით და ნუ ეცდებით რაღაცის უაზროდ დამტკიცებას, ვიღაცის ჯინაზე გასწრებას – ყოველივეს, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოყვეს.

**რჩევა № 2**

**დამწყებმა მძღოლებმა თავს ძალა უნდა დაატანოს და ფრთხილად იმოძრაოს.** თავდაპირველად სჯობს მხოლოდ წყნარი ნაცნობი ქუჩებით იაროთ, თან გვერდით გამოცდილი კაცი იყოლიოთ, რომელიც დროულად გირჩევთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ რთულ ვითარებაში. კარგი იქნება, თუ საათში 50 კილომეტრზე მეტი სიჩქარით არ იმოძრავებთ. უფრო ინტენსიური მოძრაობით ქუჩაზე კი მხოლოდ რამდენიმე ხნის ვარჯიშის შემდეგ გირჩევთ გასვლას.

**რჩევა № 3**

**დამწყები მძღოლისთვის მანქანით აუცილებლად დათქმულ დროზე მისვლის სურვილის განხორციელებას,** მით უმეტეს დიდ ქალაქში, თან პიკის საათებში, ხიფათის შეყრა შეუძლია. თუკი საცობში მოხვდით, მოდუნდით და ნუ ეცდებით მეზობლების წესების დარღვევით გასწრებას.

**რჩევა № 4**

**თუკი გზაზე შექმნილი ვითარება თქვენთვის სრულიად უცხოა და გაუგებარი,** დაიბნევით და არ იცით, როგორ მოიქცეთ, ყველაზე კარგი გამოსავალია მანქანა გზის სავალი ნაწილიდან მაქსიმალურად გადაიყვანოთ და ავარიული შუქნიშნები ჩართოთ. მერე დამშვიდდით, მდგომარეობა შეაფასეთ და მოძრაობა მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძეთ.

**რჩევა № 5**

**თუკი მგზავრობა უცნობი გზით გიწევთ, თავდაპირველად სავალგეზი რუკაზე შეისწავლეთ,** ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, გზას დილაადრიანად გაუდგებით, მანამდე, სანამ გზა გადატვირთული არ არის. თანაც მოძრაობისას მუდამ ეცადეთ გზაზე შექმნილი ვითარება შეაფასოთ და ამა თუ იმ შემთხვევაში საკუთარ მოქმედებათა შესაძლო სცენარი დაასწყოთ.

**რჩევა № 6**

**ორსულობის დროს უმჯობესია ქალბატონებმა მანქანის ტარებისგან თავი შეიკავონ. ყოველთვიური ციკლების დროს კი ეს საკითხი ინდივიდუალურადაა გადასაწყვეტი.** თუკი თავს კარგად გრძნობთ, საჭესთან დაჯდომას ხელს არაფერი შეუშლის, მაგრამ თუკი ნერვები აშლილი გაქვთ, ან ყურადღება გეფანტებათ, უმჯობესია სხვა ტრანსპორტით ისარგებლოთ.

**რჩევა № 7**

**ეცადეთ, რომ თქვენი განზრახვა მოძრაობის სხვა მონაწილეთათვისაც გასაგები იყოს.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები მძღოლებისთვის. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია არ იფორიაქონ, ყველა მანევრი ნელა და მკაფიოდ შეასრულონ, მოხვევის მანიშნებელი დროულად ჩართონ, რიგიდან რიგში უაზროდ გადასვლისგან თავი შეიკავონ და სიჩქარეს არ გადააჭარბონ.

ნებისმიერი მძღოლის ოქროს წესია: სულელს გზა დაუთმეთ! თუკი ვიღაცა გზაზე უაზრობებს აკეთებს, თავი დაანებეთ და ნუ ეცდებით იმის გარკვევას, ვინ მტყუანია და ვინ – მართალი!

**რჩევა № 8**

**იმისთვის, რომ სახლიდან სადღაც შორს გაფუჭებულ მანქანაში ღამის გათევა არ მოგიწიოთ, ყველაფრის თადარიგი უნდა დაიჭიროთ.** შეიძინეთ კარგი საგზაო ატლასი, ერთი მუდამ მანქანაში გქონდეთ, მეორე ვინმე გამოცდილ მძღოლს, ახლობელ კაცს მიეცით, გზაში მობილური ტელეფონი მუდამ თან გქონდეთ. ავარიის დროს ერთიც და მეორეც დიდ სამსახურს გაგიწევთ. უმჯობესია უცნობ მძღოლებს გზაზე დახმარება არ სთხოვოთ – გამორიცხული არ არის არასასურველ ნაცნობობას გადაეყაროთ.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 აგვისტოს**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● XV საუკუნის შუა წლებში, პარიზელები იძულებულნი იყვნენ, სახლების კარები გაეფართოებინათ, რადგან მოდაში უზარმაზარი შლაპები შემოვიდა.

● მისტიკური წარმოდგენით, ცარცით შემოხაზულ წრეში ავსულები ვერ აღწევენ.

● რომის ამფითეატრს იმის გამო,რომ მის გვერდით იდგა ნერონის კოლოსალური ქანდაკება, კოლოსეუმი უწოდეს.

● ქინაქინის გამოგონებამდე მალარიის სამკურნალოდ ტირიფის ხეს იყენებდნენ.

● ძველი სლავები კარაქს მხოლოდ ბრმებს ამზადებინებდნენ, რადგან ეშინოდათ, პროდუქტი მათ არ გაეთვალათ.

● ჰორაციო ნელსონის გლოვასთან დაკავშირებით მეზღვაურებმა მაშინ ქუდებზე ლენტი დაიმაგრეს, რაც დღესაც მეზღვაურთა ქუდების აქსესუარის სახით შერჩათ.

● ძველად ამისთვის ჭურჭელს სველ ქსოვილში ახვევდნენ, იცით რატომ? — მაცივრის როლი რომ შეესრულებინა.

● ის შეიძლება გამოწვეული იყოს სისხლნაკლებობით ან ენდოკრინული პრობლემებით, კერძოდ, ფარისებური ჯირკვლების ფუნქციის დარღვევით, ნერვული სისტემის მოშლით, ყველაზე სწრაფად მას ნერვული შოკი იწვევს. თუმცა ადამიანებს, რომელთაც ის აქვთ, სულაც არ მივიჩნევთ ავადმყოფებად, რადგანაც ეს გახლავთ ადამიანის თმაში ჭაღარის გაჩენა.

● XVIII საუკუნის ბოლოს იმაზე მეტი ფქვილი იხარჯებოდა, ვიდრე ფრანგები საჭმელად იყენებდნენ. იცით, რატომ? — პარფიუმერიაში ფქვილს იყენებდნენ პუდრის დასამზადებლად.

● რომაელები გამომწვარი თიხისგან ამზადებდნენ ადამიანის ფიგურებს, შემდეგ ღებავდნენ და პროვინციებში აგზავნიდნენ. დღეს კი ამ საქმეში, რომელშიც ამ თოჯინებს იყენებდნენ, კარგი აღნაგობის ადამიანები არიან დასაქმებული და საკმაოდ მაღალ ანაზღაურებასაც იღებენ, თოჯინები კი გამოიყენებოდა მანეკენებად, მოდელებად.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**სტუდენტთა საყურადღებოდ!**

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის **საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია** ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. **ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი.** საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

**რექტორატი**

## კადრი



## ანეკდოტები

ბიჭიკიამ ჰკითხა ჭიჭიკიას:

– რას აჭმევ, ბუჯო, შენს გოჭებს?

– რაში გაინტერესებს შენ?

– რაში მაინტერესებს და მეც მინდა მასთე გახდომა.

* * *

გურულს ეკითხებიან:

– როგორ ხარ?

– ისთე, რავარც ლენინი!

– ეს როგორ გავიგო!

– არც მაჭმევენ და არც მასუმენ.

* * *

– ეჰ, მოვხუცდი, ბაბუ! – ეუბნება 85 წლის ალიკო 20 წლის შვილიშვილ ვაჟიკოს, – პირველ ორზე მაგრათ ვარ, მესამეზე ცოტა მიჭირს, მეოთხე-მეხუთეზე ვიოფლები...

– ქალებზე, ბაბუ? – ეკითხება ვაჟიკო.

– არა, ბაბუ, კიბის საფეხურებზე!

* * *

ტელერეპორტიორი იღებს ინტერვიუს კინოვარსკვლავ ქალისაგან.

– რამდენი ქმარი გყავთ?

– ჩემი თუ სხვისი?



* * *

მრავალწლიანი ცხოვრების დაკვირვებიდან: – ქალები ხელისგულზე უნდა ატარო და კისერზე თვითონ დაგასხდებიან.

* * *

დაქალი ეუბნება მეორეს:

– გუშინ ჩემპიონი გავიცანი კრივში, ჯერ რესტორანში დამპატიჟა, მერე მასთან წავედით სახლში.

– მერე, როგორი შეგრძნება გქონდა?

– აბა, რა გითხრა... წარმოიდგინე, უზარმაზარი სამკარიანი კარადა და მის საკეტში პა-ა-ტარა, პა-ა-ტარა გასაღები.

* * *

კასრში ცოცხალი თევზი ყრია და იყიდება... მიხო კითხულობს:

– თევზი ახალია, ჯო?

– ახალია, მა რა, ვერ ხედავ, ცოცხალია! – პასუხობს გამყიდველი.

– მერე, რა, ჯო, ჩემი მაროც ცოცხალია, მაგრამა ახალი კი არ არის! – უპასუხა მიხომ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24